„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ. № 44.

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია დილის ყოველ დღე: დილის 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 საათ. 7 საათამდე.

№ 38. კვირა, 30 ოქტომბერი 1905 წლისა. № 38.

კვირას, 30 ოქტომბერს დილის 10 საათზე,

ნაძალადევში დანიშნულია

სახალხო მიტინგი

შესახებ გურიის ეხლანდელი მდგომარეობისა

მუშათა ორგანიზაცია.

შინაარსი: გურია განსაცდელშია. —რუსეთის რევოლუცია და 17 ოქტომბრის მანიფესტი, ფ. მახარაძისა.—სხვადა-ხვა ამბებზ.—დღიური, შ. შ.—ისა.—რუსეთი.—კომმუნისათვის დახოცილები. ა. არნუსი თარგმანი კუპიდონისა.—ეროვნული განხეთქილება და საერთაშორისო პროლეტარიატი, ფარისა.—22 ოქტომბერს მომხდარი სისხლის ღვრა — კორესპონდენციები.

გურია განსაცდელშია!

სულ გულცივი უნდა იყოს ადამიანი, რომ დამშვიდებით ისმინოს ის, რასაც დღეს გურიის შესახებ ამბობენ და გაზეთებში წერენ. მეტათ ამაღელვებელი ცნობები მოდის ჩვენი ქვეყნის ამ პატარა, მაგრამ მეტის მეტათ შესანიშნავი კუთხიდან. თუ ამ ცნობებს დავუჯერეთ, გურიაში საერთო აჯანყება უნდა იყოს, რომ გურულებს ვითომც შეირაღებული თავდასხმაც უნდა მოეხდინოთ და ვითომც ადგილობრივი ჯარი და მთავრობა დაეტყვევებინოთ. რამდენათ მართალია ეს, ამის განსჯაში ჩვენ აქ ვერ შევალთ, ვინაიდან ნამდვილი და სწორი ცნობები ხელში არა გვაქვს. შეგვიძლია ვთქვათ მხოლოთ ის, რომ გურიას დიდი განსაცდელი მოელის, რომ შეიძლებელია დიდი სისხლის ღვრა მოხდეს. საქმე ის არის, რომ კავკასიის მთავრობას უკვე განკარგულება მოუხდენია გურია ჯარებით და თოფ-ზარბაზნებით აავსოს. უკვე ყოველი მხრიდან იგზავნება იქ ჯარები. ყოველივე ეს საიდუმლოთ ხდება, ვითომც აქ არაფერიაო. რათ არა აცხადებენ საჯაროთ, რა სწადიათ, რა მიზანი აქვთ? ვის წინააღმდეგ გზავნიან ამოდენა ჯარებს გურიაში? ვის რა დაუშავეს გურულებმა?

მაგრამ რას ვამბობ? განა გურულებს დანაშაული არ მიუძღვით? ჰაი ჰაი რომ მიუძღვით და მერე როგორი! გურულების დანაშაული ის არის, რომ ისინი მთელი რუსეთის დღევანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში იდგენ; იმათი დანაშაული ის არის, რომ იმათ ძლიერ მაღლა უჭირავთ თავისუფლების დროშა! რუსეთის თვითმპყრობელ მთავრობისათვის ეს ხომ ისეთი მიუტევებელი შეცოდებაა, რომელსაც იგი არავის დაუსჯელათ არ შეარჩენდა. და მართლაც უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც მთავრობა თავგამოდებით იბრძოდა გურიაში რევოლიუციონური ნაპერწკლის ჩასაქრობათ; იგი არავითარ საშუალებას არ ზოგავდა. ოღონდ კი როგორმე ეს ნაპერწკალი ჩაექრო. ეს საშუალებები ჩვენ კარგათ ვიცით. ბ-ნ კრიმგირეის მოგზაურობამ გურიაში ეს ყველას აშკარათ დაანახვა. მაგრამ რას მიაღწია მთავრობამ? იმას, რომ პატარა ნაპერწკალი დიდ ცეცხლათ გადაიქცა, რომელიც მზათაა ჩანთქას არსებული წესწყობილება. ტყუილა ნურავინ იფიქრებს, რომ გურულები ისე მსუბუქი ჰკუის პატრონი იყვენ, რომ მთელი რუსეთის დღევანდელი წესწყობილების დასაცემათ იმათი აზრით მარტო იმათი აჯანყება იქნება საკმარისი. პირიქით, გურულები დიდი ყურადღებით ადევნებდენ თვალყურს რუსეთის მოძრაობას; ისინი გაფაციცებით კითხულობდენ გაზეთებს, რომ ცოდნოდათ თუ რა ხდებოდა რუსეთში. ისინი პირველათ არასოდეს აჯანყებას არ ატეხდენ. ან კი ვის წინააღმდეგ უნდა აჯანყებულიყვენ ისინი? ამ უკანასკნელ დროს გურულებმა ისე მოაწყვეს საქმე, რომ თავის საქმეებს თითონვე განაგებენ და ხელმძღვანელობენ; იმათ უკვე ჰქონდათ თავისი სასამართლო და თავისი პოლიცია. მთავრობის დაწესებულებებთან იმათ უკვე ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი აქვთ. ხალხი არავითარ ძალადობას აღარ ხმარობდა, იგი უკვე მშვიდობიან შრომას ეწეოდა. რასაკვირველია, გურულებმა კარგათ იცოდენ, რომ თუ რუსეთში არსებული წესწყობილება ძირიანათ არ შეიცვლებოდა, იმათ ასეთ თავისუფლათ ცხოვრების ნებას არ მიცემდენ, ეა ამიტომ ემზადებოდენ. ემზადებოდენ იმის დასაცველათ და შესანარჩუნებლათ, რაც იმათ წვითა და დაგვით და გაჭირვება-ვაებით მოიპოვეს. თავის მხრით არც ადმინისტრაციას ეძინა: იგიც, რა თქმა უნდა, იმაზე ფიქრობდა, რომ მოხერხებული დრო ხელში ეგდო და გურიის ხალხი საბრძოლველათ გამოეწვია მანამ, სანამ იგი შეიარაღდებოდა. ასეთ შემთხვევაში მთავრობისათვის ცოტა რამ არის საჭირო, რომ უიარაღო ხალხს ჯარი მიუსიოს და ამოწყვიტოს, და იმავე დროს გამოაცხადოს, რომ იგი ამას ჩადის თვით ამოწყვეტილი ხალხის კეთილ-დღეობისათვის. ასეთი შემთხვევა ჰქონდა მთავრობას გურიის ხალხის ამოსაყლეტათ ამ 6.7 თვის წინეთ, როცა იქ გენ. ალიხანოვი იქნა გაგზავნილი რამდენიმე ათასი ჯარის კაცით, ზარბაზნებით, ტყვიის მტყორცნელებით და ლაზარეთით. ეს იყო ნამდვილი ომის გამოცხადება. როგორც ოფიციალურათ იყო გამოცხადებული ასეთი სასტიკი ზომები იმიტომ იყო ხმარებული, რომ გურია რევოლიუციონურ პროპაგანდის ბუდეთ გადაიქცაო; რომ ეს პროპაგანდა იქ თანდათან ძლიერდება, და ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის მისი ძირიან-ფესვიანათ მოსპობაო. და აი გენ. ალიხანოვს ჯარის და არტილერიის საშუალებით უნდა შეესრულებია ეს მისსია. უბრალო შემთხვევამ და უფრო კი თვით გურულების გონიერებამ გადაარჩინა მაშინ გურია ამ ხიფათს. მას შემდეგ რევოლიუციონური მოძრაობა რუსეთში კიდევ უფრო გაიზარდა, თავისუფლება, რომლისა-

თვისაც გურულები ასე თავგამოდებით იბრძოდნენ, თითქმის მოპოებული იქნა. და აი ამ დროს ჩვენ ვხედავთ, რომ გურიაში ათასობით და ათიათასობით ჯარების გაგზავნას აპირებენ. რამ გამოიწვია ეს, რით აიხსნება ასეთი ამბავი? ჩვენ გვწამს, რომ გურიაში, როგორც ყოველგან დღეს, მოსალოდნელი იყო კერძო შეტაკება კაზაკებსა და ხალხს შორის. სად არ ხდება დღეს ასეთი შეტაკება? მაგრამ განა ეს საკმარისია იმისთვის, რომ მთელ გურულ ხალხს ომი გამოეცხადოს? მაგრამ გურიას სხვანაირათ უყურებენ; მთავრობას იგი მოსვენებას არ აძლევს; გურული ხალხი მისთვის კბილის მატლია, რადგანაც იგი რევოლიუციონურ მოძრაობას სათავეში უდგას, რადგანაც იქაური გლეხკაცობა მთელი რუსეთის გლეხკაცობის მოწინავე რაზმათ ითვლება, და ამიტომ მთავრობა, როგორც ვამბობდით, ყოველგვარ შემთხვევით ისარგებლებს, რომ გურიაში აჯანყება გამოიწვიოს. მაგრამ ეს უგუნური ფიქრია. გურულების ამოჟლეტა თვით მთავრობას ჩაყენებს განსაცდელში. მთელმა ქვეყანამ იცის, თუ რას ემსახურება დღეს გურული ხალხი. წავიდა ის დრო, როცა განუკითხავათ შეიძლებოდა ხალხის ჟლეტა-ამოხოცვა. ის, ვისაც გონიერება აქვს და ვინც სახელმწიფო ინტერესებს მართლა მაღლა აყენებს, ასეთ საქმეს ვერ ჩაიდენს. ყოველ შემთხვევაში, ყველა აქტიურ საზოგადოებრივ ელემენტების მოვალეობაა, ის განსაცდელი, რაც დღეს გურიას ადგას, თავიდან აშორებულ იქნას. ამიჯამ ჩვენ, თავასუფლების სახელით, მოვუწოდებთ იმათ საჭიროების დროს ყოველგვარი დახმარების აღმოსაჩენათ. დაყონება და სხვისი ლოდინი არ შეიძლება. დღეს მოქმედების დროა, და ვინც ამ მოქმედებას გაურბის, იგი საზოგადო საქმის მოღალატეთ ჩაითვლება. საჭიროა მოქმედება და არა ლოდინი.

რუსეთის რევოლიუცია და 17 ოქტომბრის მანიფესტი.

იმ დროს, როცა რუსეთის მთავრობასა და რუსეთის ხალხს შორის აშკარა და დაუზოგველი ბრძოლა იყო გამართული, იმ დროს, როცა თითქმის მთელი რუსეთი სამხედრო ბანაკათ იყო გადაქცეული, და მთავრობის ყველა ჯარის და ყველა ხარისხის აგენტები, უკანასკნელი გოროდოვოიდან დაწყებული ვიდრე უპირველეს მინისტრამდე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე სასტიკათ დევნიდენ და ახჩობდენ თავისუფალ აზრს, თავისუფალ სიტყვას, როცა პოლიცია და ჟანდარმერია სრულიად უმიზეზოთ და განუკითხავათ ატყვევებდენ, აპატიმრებდენ, აციმბირებდენ და სახჩობელაზე გზავნიდენ საზოგადოების საუკეთესო წევრთ, როგორც პოლიტიკურ დამნაშავეთ, იმ დროს, როცა პოლიციელები, სალდათები და კაზაკები სრულიად უმიზეზოთ არა თუ შეურაცხყობას აყენებდენ სრულიათ უდანაშაულო ხალხს, არამედ პირდაპირ სიცოცხლეს უსპობდენ მას, იმ დროს, როცა ცენზორის ნება დაურთველათ სასტიკათ აკრძალული იყო უბრალო განცხადების დასტამბვაც კი, სწორეთ აი ამ დროს პეტერბურგიდან ელვასავით მოედვა მთელ რუსეთს ის ამბავი, რომ ნიკოლოზ მეორის მანიფესტის ძალით რუსეთის ხალხს ენიჭება „თავისუფლება სინიდისის, სიტყვის, კრების და კავშირის“, რომ ამიერიდან ხელშეუხებელი იქნება ადამიანის პიროვნებაო! რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ეს სინამდვილეა? გარშემო ომიანობის დროის წესები, გაძლიერებული დაცვა, შეიარაღებული ჯარი, პოლიციელები, კაზაკები, რომლებიც ყოველ წამს მზათ არიან ააოხრონ და გაანადგურონ ყოველივე და ნაგაიკების, ჩიშტების და ტყვიის საშუალებით გაფანტონ შეკრებილი ხალხი, და იმავე დროს კი მანიფესტი აცხადებს, რომ ამიერიდან „ხალხს უნდა მიენიჭოს მოქალაქობრივ თავისუფლების შეურყეველნი საფუძვლნი, რომ ჭეშმარიტათ ხელუხლებელი იყოს ადამიანის პიროვნება; თავისუფლება სინიდისისა, სიტყვისა, კრებისა და კავშირისაო“. ან შეიძლება ეს დაცინვა იყოს, მწარე დაცინვა! არა და ათასჯერ არა! მაშ რა არის ეს? მაშ რას მოასწავებს ერთ და იმავე დროს თავისუფლების გამოცხადება და ამავე თავისუფლების საჯაროთ დარღვევა და შელახვა? ერთი მხრით ადამიანის პიროვნების ხელშეუხებლობა და მეორე მხრით სწორეთ ადამიანის პიროვნებისვე შეურაცხყობა, დამცირება და გათელვა. აშკარა წინააღმდეგობაა განა? მაგრამ მოითმინეთ, თუ საქმეს ცოტა უფრო ღრმათ ჩაუკვირდებით, აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის, პირიქით, აქ არის ნამდვილი ლოდიკური თანდათანობა.

ნებითა და წყალობითა ღვთისათა რუსეთის თვითმპყრობელი მთავრობა დიდი ხნის განმავლობაში განაგებდა რუსეთის ხალხის ბედს. მთავრობას, რასაკვირველია, მარტოთ მარტო როდი შეეძლო მთელი ხალხის დაბეჩავება და მაზე გაბატონება. ამ საქმეში მას შველოდენ და მხარს უჭერდენ მაღალი წოდებები და კლასები, როგორც მაგ., თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და სხ. მთავრობის და გაბატონებულ წოდებათა ინტერესი ხალხის მართვა-გამგეობაში, ე. ი. ყველფა-ძარცვაში, ერთი და იგივე იყო. ეს იყო ბატონ-ყმობის დრო, როცა სოფელი, ქალაქთან შედარებით, უპირველეს როლს თამაშობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როცა ნატურალური წარმოება შეადგენდა ეკონომიური ცხოვრების დედა ძარღვს. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს როლი თანდათან შეიცვალა: სოფლის ადგილი ქალაქმა დაიჭირა, ნატურალურ წარმოების გვერდით თანდათან აღორძინდა თანამედროვე აღებ-მიცემობა და კაპიტალისტური მრეწველობა, და მასთან ერთათ ახალი საზოგადოებრივი კლასი ბურჟუა-კაპიტალისტებისა. თვით მთავრობაც დაინტერესებული შეიქნა აღებ-მიცემობის და მრეწველობის განვითარებაში, ვინაიდან მისთვის საჭირო შეიქნა ფული, და ფულის შოვნის ერთათ ერთი პირობას კი მრეწველობის და აღებ-მიცემობის ზრდა-განვითარება შეადგენდა. ამავე დროს ყმების მდგომარეობაც მეტათ აუტანელი გახდა, ასე რომ თითქმის ყოველ დღე აჯანყება და არეულობა ხდებოდა კერძო მემამულეთა წინააღმდეგ. ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ამ კერძო აჯანყებათ და არეულობათ საყოველთაო ხასიათი მიეღო და თვით თვითმპყრობელი მეფის წინააღმდეგ მიმართულიყო. ამნაირათ, თუ რომ მთავრობა მაღლიდან არ მოახდენდა ცვლილებას ბატონ-ყმურ ურთი-ერთობაში, მას ორი მხრიდან მოელოდა განსაცდელი: ერთი მხრით ფინანსიური გაკოტრება და მეორე მხრით გლეხების საერთო აჯანყება. ორივე შემთხვევაში კი თვითმპყრობელობა ვარდებოდა განსაცდელში და უეჭველათ უნდა დამარცხებულიყო. მაგრამ მთავრობამ დროზე დაუთმო ხალხს, ბატონ-ყმური ურთიერთობა იურიდიულათ გააუქმა თავისი „უქაზით“, მაღლიდან, და მით თვითმპყრობელობა დახსნილი იქმნა განსაცდელისაგან. ამით დასრულდა თავად-აზნაურობის, როგორც მებატონეთა წოდების, განუკითხავი ბატონობა და იგი ჩაება ბურჟუაზიული წესწყობილების ფერხულში.

როგორც ხედავთ ეგრეთ წოდებული გლეხების გინთავისუფლება ბატონ-ყმური მონობისაგან, ე. ი. მესამოცე წლების „დიდებული საგლეხო რეფორმა“, ხალხის გამარჯვება კი არ იყო, არამედ მისი დამარცხება იყო და მთავრობის გამარჯვება. და მართლაც მთავრობამ შესანიშნავათ ისარგებლა ამ

გარემოებით და ქვეყანას ამცნო, რომ იგი ხალხის ერთგული და კეთილის-მყოფელია, რომ მან თავად-აზნაურობაც კი არ დაინდო და მისი ინტერესები ხალხის ინტერესებს ანაცვალა, ოღონდ ხალხი არ იტანჯებოდესო. ადვილი მისახვედრია, თუ რა გვარი იყო ეს „კაცთმოყვარეობა“ და ან ვის ინტერესებს იცავდა ამით მთავრობა. მაგრამ ამაზე ლაპარაკი აქ შორს წაგვიყვანს, ამიტომ დავუბრუნდეთ ისევ მთავარ საგანს.

უკანასკნელი ორმოცი წელიწადი იყო რუსეთის ბურჟუაზიის შეუჩერებელი ზრდა-განვითარების ხანა. თვითმყრობელობა, როგორც ვიცით, გამარჯვებული გამოვიდა განსაცდელიდან და ხალხის თვალში სახელიც მოიპოვა. ბურჟუაზია მიეკედლა მას და კიდევაც მოიპოვა მისი მფარველობა. თუ სხვა ქვეყნებში ბურჟუაზია, მოიპოვებდა თუ არა ძალას, ანგრევდა თვითმპყრობელ მთავრობათა კედლებს, ახდენდა რევოლიუციებს პოლიტიკური უფლების მოსაპოვებლათ, რუსეთის ბურჟუაზია, პირიქით, ცდილობდა ამ კედლების გამაგრებას: იგი უარს აცხადებდა პოლიტიკურ თავისიფლებაზე, ოღონდ მისი ჯიბე საკმე ყოფილიყო ოქროებით, ოღონდ მთავრობას დახმარება აღმოეჩინა მუშებთან, პროლეტარიატთან, საბრძოლველათ. რუსეთის ბურჟუაზიამ დასავლეთ ევროპის მაგალითებიდან იცოდა, რომ თვითმპრობელობის გაჟქმება და პოლიტიკურ უფლებების მოპოვება ისეთი მახვილი იყო, რომელიც ორივე მხრიდან ჭრიდა. ამიტომ მთავრობამ და ბურჟუაზიამ ჩამოაგდეს ერთმანეთ შორის ზავი, შეკრეს „წმიდა კავშირი“ რუსეთის მთელი მშრომელი ხალხის წინააღმდეგ. მთავრობის პოლიტიკა ბურჟუაზიის საკეთილდღეოთ იქნა მიჩვრთული; ყველა კანონები იმას უწევდა მოსარჩლობას და მფარველობას გაყვლეფილი პროლეტარიატის და გაღიტაკებული გლეხკაცობის წინააღმდეგ. იმავე დროს ყოველგვარი გადასახადი და ბაჟები (პირდაპირი თუ არაპირდაპირი) განსაკუთრებით მშრომელ ხალხს დაადვეს კისერზე. ბურჟუაზია დღესასწაულობდა თავის გამარჯვებას ყოველ ფეხის ნაბიჯზე, თვითმპყრობელობაც კმაყოფილი იყო ვინაიდგან რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტ სახსარს შოულობდა თავისი ჯარების გასამრავლებლათ და გარეგანი ძლიერების განსამტკიცებლათ. მართალია, მთავრობას ცუდ გუნებაზე აყენებდა და მოსვენებას არ აძლევდა რევოლიუციონურ ჯგუფების მოქმედება, მაგრამ იგი ხედავდა, რომ ხალხში ამ ჯგუფებს ჯერ კიდევ არ ქონდათ მოპოებული ნიადაგი, ჯერ კიდევ ხალხში არ იყო თავისი საკუთარი ინტერესების შეგნება. მთავრობა არაფერს არ ზოგავდა ამ ერთ მუჭა ხალხთან ბრძოლაში, იმ ხალხთან, რომელიც ძლიერი იყო მხოლოთ თავისი საოცარი გაბედულებით და ღრმა რწმენით, რომ ერთხელაც არის, ჩვენს ქუჩაზედაც გამოიდარებსო. უეჭველია მაშინდელ რევოლიუციონერებს არა ერთხელ გაუხსენებიათ ჰომერის სიტყვები:

И будетъ нѣкогда день и погибнетъ священная Троя,
Съ ней погибнетъ Пріамъ и народъ оруженосца Пріама.

მართალია მაშინდელ რევოლიუციონერებს ძველ ბერძნებივით არ წამდათ ბედის წერა, მაგრამ ისინი ამაოთ ხედავდენ რევოლიუციონურ ძალას მაშინდელ გლეხ-კაცობაში. რომ ეს ძალა თვით თანამედროვე ბურჟუაზიული წესწყობილების, ე. ი. კაპიტალისტური წარმოების, ნიადაგზე უნდა აღორძინებულიყო, ეს ამათთვის შეუმჩნეველი დარჩა. მაგრამ დრო მიდიოდა, ერთი რევოლიუციონური ჯგუფის ადგილს მეორე იჭერდა. იმავე დროს კი თვით ხალხში შესამჩნევი ცვლილება ხდებოდა. ძველი ნატურალური წარმოება თანდათან ქრებოდა ინდუსტრიის, კაპიტალისტური მრეწველობის ზეგავლენით; გარდა ამისა გლეხობის ერთ ნაწილს თანდათან ეცლებოდა ხელიდან მისი მარჩენელი მიწა, ამიტ. ხუთ-ლის ხალხი, გლეხკაცობა, დაიძრა და თავ. ქალაქს შეაფარა. მუშა ხელი ზედმეტი 'მეიქნა. ამან გამოიწვია ხელფასის, მუშის დღიური ქირის დაწევა. ბურჟუაზიისთვის ეს ხელსაყრელი იყო და აი რუსეთის მრეწველობის ისტორიაში დგება აყვავების ხანა. ბურჟუაზია ჯიბეებს ივსებდა და სუქდებოდა და იმავე დროს რუსეთის პროლეტარიატს სიმშილისაგან კუჭი ეწოდა და ცოლშვილი ეხოცებოდა. მაგრამ თანამედროვე მუშა ხალხი, პროლეტარიატი, როგორც ყველაზე უფრო შეგვიწროებული და დაჩაგრული კლასსი, სხვა დროის მუშა ხალხს არა გავს. მაში ჩნდება და ვითარდება კლასსობრივი განხეთქილების და კლასსობრივი ბრძოლის შეგნება. ეს საფუძვლათ ედება პროლეტარიატის სოციალისტურ შეგნებას. პროლეტარიატი ყველასაგან დაჩაგრული კლასია, დაჩაგრულს მჩაგვრელის იმედი ნუ ექნება; პროლეტარიატმა თითონ უნდა გაითავისუფლოს თავისი თავი. მაგრამ პროლეტარიატის განთავისუფლება ნიშნავს მთელი თანა მედროვე ბურჟუაზიული წესწყობილების დამხობას და მის ალაგას სოციალისტური წესწყობილების დამყარებას. ეს არ მოხდება ერთი დაკვრით, ეს არ მოხდება მანამ, სანამ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის დიდ ნაწილს შეგნებული არა აქვს თავისი კლასსობრივი მდგომარეობა. და აი კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება ხელს უწყობს და აჩქარებს პროლეტარიატში ამ შეგნებას, პროლეტარიატს აქ დიდი გზა აქვს გასავლელი, გზა ეკლიანი. თითოეული მისი ფეხის ნაბიჯი სისხლით არის მორწყული. მაგრამ იგი არ დრკება, მას ვერ აშინებს ვერავითარი სისასტიკე. მან იცის, რომ საბოლოო გამარჯვება მხოლოთ მას უნდა ხვდეს წილათ. ჩვენმა უფროსმა თანამოძმემ, დასავლეთ ევროპის პროლეტარიატმა უკვე დიდი მანძილი გაიარა ამ დიდებულ ბრძოლაში. მაგრამ იმავე დროს არც რუსეთის პროლეტარიატი იჯდა გულზე ხელდაკრეფილი. თავისი გაბედული და შეუდრეკელი ბრძოლით მან საპატიო ალაგი დაიჭირა საერთაშორისო პროლეტარიატის დიდებულ კლასსობრივ ბრძოლაში. მისი ზნეობრივი ძალა და ენერგია მით უფრო გასაოცარია, რომ მას ერთ და იმავე დროს ორ გამაგრებულ მტერთან უხდებოდა და დღესაც უხდება ბრძოლა.

რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლა დღემდე მოკლეთ ასეთია. პირველ ხანებში ბრძოლა დაიბადა წმინდა ეკონომიურ ნიადაგზე. მუშები თხოულობდენ სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, ქირის მომატებას, სამუშაო დროს შემცირებას და სხ. კაპიტალისტები, რა თქმა უნდა, არ აკმაყოფილებდენ ასეთ მოთხოვნებს. რა უნდა ეპასუხნათ ამაზე მუშებს? რითი უნდა დაენახვებინათ კაპიტალისტებისათვის თავისი ძალა? ერთათ ერთი საშუალება გაფიცვა, მუშაობაზე ხელის აღება იყო, ეს ერთი საუკეთესო მშვიდობიანი იარაღია შრომასა და კაპიტალის შორის ატეხილ ბრძოლაში, იარაღი, რომელიც უკვე დიდი ხნიდან ნაცადი იყო დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მაგრამ შესაძლებელი იყო რუსეთის იმპერიაში გაფიცვის მოხდენა? გაფიცვა ხომ კაპიტალისტების წინააღმდეგ იყო მიმართული, და ამა ამას უყურადღებოთ როგორ გაუშვებდა მთავრობა. თვითმპყრობელ სახელმწიფოში საზოგადოთ ყველაფერი აკრძალულია, აქ არ შეიძლება მთავრობის ნებადაურთველათ თავის მოყრა და მოლაპარაკება თავის საკუთარ საქმეებზე. ყველაფერი ეს აქ „ბუნტის“, აჯანყების სახელით არის მონათლული, და როგორც ასეთი, სასტიკათ იდევნება. მუშების გაფიცვაც კაპიტალისტ-მრეწველების წინააღმდეგ „ბუნტათ“ გამოაცხადეს

და მუშებს დაუწყეს სასტიკი დევნა. პოლიციელების, ჟანდარმების და ჯაშუშების მოხებით რომ ვერას გადიოდენ, ხიშტიან სალდათებს და კაზაკებს უსევდენ დასარბევათ და დასაწიოკებლათ მშვიდობიან შრომელ ხალხს, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა, გარდა იმისა, რომ მისი შრომით სხვები სარგებლობდენ. ამ გარემოებას არ შეეძლო არ ჩაეფიქრებია მუშა ხალხი თავის მდგომარეობაზე. რისთვის ეხმარება მთავრობა კაპიტალისტებს? რისთვის უსევენ მშვიდობიან ხალხს სისხლის მსმელ კაზაკებს და ჟანდარმებს? რისთვის გაუბამთ ჯაშუშების ქსელი მუშების სათვალიერებლათ, რომ მათთან გარეშე არავინ მივიდეს, წიგნაკი ან გაზეთი არ გადაცეს და სხ. ამას შემდეგ მუშა ხალხი უკვე შეგნების სწორ გზაზე დადგა, მაში უკვე სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების პროპაგანდა დაიწყო. რადგანაც რუსეთის პროლეტარიატს, მის მოწინავე მებრძოლ რაზმს, სოციალდემოკრატიულ პარტიას. განსაკუთრებულ პოლიტიკურ პირობებში უხდება მოქმედება, ე. ი. ისეთ პირობებში, რომლებიც აძნელებენ და აფერხებენ მუშათა მოძრაობას, რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიული წესწყობილების დამხობით უნდა გათავდეს, ამიტომ თავის თავათ იგულისხმება, რომ უწინარეს ყოვლისა წამოყენებული იქნა პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება. ამნაირათ რუსეთის პროლეტარიატმა ეკონომიურ მოთხოვნების გარდა პოლიტიკური მოთხოვნებიც შეიტანა თავის პროგრამაში (პროგრამა მინიმუმი). მუშების მოძრაობა რუსეთში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გასაოცარი სისწრაფით გაძლიერდა და გაიზარდა. ეს გამოიხატა მუშების კერძო და საყოველთაო გაფიცვებში და მანიფესტაციებში ყოველგან, სადაც კი მუშა ხალხი ცხოვრობს. სულ უკანასკნელ დროს, სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდამ სოფლის გაჭირვებულ გლეხკაცობაშიაც მოიკიდა ფეხი

მუშების მოძრაობას არ შეეძლო არ მიექცია საზოგადოების ყურადღებაც. იმათ თავგანწირულმა და გმირულმა ამბებმა, იმათ შეუდრეკელობამ და საოცარმა გამბედაობამ, რაც იმათ არა ერთხელ დაამტკიცეს სალდათებთან და ყაზახებთან შეტაკების დროს ქუჩებსა და მოედანზე, საზოგადოების რადიკალური ელემენტების თანაგრძნობა დაიმსახურა. მუშათა მოძრაობამ განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზდობის, სტუდენტების, ყურადღება მიიქცია. რუსეთის სტუდენტობა დიდი ხანია ღელავდა თავისი საკუთარი აკადემიური თავისუფლების მოსაპოვებელათ. სტუდენტობა განკერძოებულათ მეცადინეობდა თავისი კერძო მიზნის განსახორციელებლათ. მისი მოძრაობა უნივერსიტეტების კედლებს არ შორდებოდა, მაშინ როცა მუშების მოძრაობა მარტო მუშებს კი არ ეხებოდა, არამედ იგი შეიცავდა მთელი რუსეთის ხალხის უმრავლესობის ინტერესებს. ამიტომ რამდენათაც მთავრობა თანდათან უძლური ხდებოდა მუშების წინააღმდეგ ბრძოლაში, იმდენათ იგი ადვილათ უმკლავდებოდა სტუდენტობის მოძრაობას. სტუდენტობის უფრო ფხიზელმა და შეგნებულმა ნაწილმა ეს ადრე შეამჩნია და ამიტომაც იგი შეუერთდა მუშების მოძრაობას. მხოლოთ მუშათა კლასს ძალუძს როგორც მთელი ხალხის, ისე კერძოთ სასწავლებლების განთავისუფლება მთავრობის გამამთახსირებელი გავლენისაგანო,—გამოაცხადა რუსეთის მოსწავლე ახალგაზდობის საუკეთესო ნაწილმა. მოსწავლე ახალგაზდობას ბანი მიცა სხვადასხვა ლიბერალური პროფესსიის ხალხმა, როგორც, მაგ, პროფესსორებმა, ექიმებმა, ვექილებმა და სხ. პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება, რასაკვირველია, ბურჟუაზიის ლიბერალების ნაწილსაც დიდიხანია წყურია. მასაც მოეზრდა თვითმპყრობელი მთავრობის თავგასულობა და თვითნებობა, იგი კარგა ხანია მოწყურებულია ეგრეთ წოდებული უფლებრივი წესწყობილების, ე. ი. წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობის, შემოღებას რუსეთში, როცა ადგილი აღარ ექნება მთავრობის მოხელეების განუკითხავ მოქმედებას, პოლიციელების და ყაზახ რუსების მისევას მშვიდობიან და უდანაშაულო ხალხზე დასარბევათ და ამოსაჟლეტათ და სხ. მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ ამის განხორციელება ლიბერალურ ბურჟუაზიას არ შეუძლია, და ამიტომ მას არ შეუძლია არ თანაუგრძნოს, რამდენიმეთ მაინც, მუშათა მოძრაობას.

ამნაირათ, რაც დრო მიდიოდა, რუსეთის მუშა ხალხის მოძრაობა ძლიერდებოდა და საზოგადოების თანაგრძნობაც მატულობდა. მაგრამ მთავრობა არა თუ არაფერს უთმობდა ხალხს, არამედ სულ უფრო და უფრო მეტ სასასტიკეს და შეუბრალებლობას იჩენდა რევოლიუციონური ცეცხლის ჩასაქრობათ. მთელი მოძრაობა, მისი აზრით, რამდენიმე დამნაშავე პარების ბრალია, რომლებიც რუსეთის ხალხის მტრები არიან და ამიტომ საჭიროა მათი თავიდან მოშორება,—აი ამით ამართლებდა ის ხალხის წინაშე იმ სასტიკ ზომებს, რომლებსაც იგი ხმარობდა მოძრაობის ჩასაქრობათ მეთაურების წინააღმდეგ. მაგრამ მთავრობის საუბედუროთ მოძრაობა არა თუ არ ქრებოდა, არამედ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და სულ უფრო და უფრო საზოგადოების მეტ ნაწილს ედებოდა. ამ დროს მთავრობამ სხვა ღონეს მიმართა; თავისი ავანტიურისტული პოლიტიკით მან მოახდომა საზოგადოების ყურადღების დამონება და ამ ყურადღების საგარეო პოლიტიკაზე მიქცევა. იქ, სადაც შორეულ აღმოსავლეთში მან ომი აუტეხა პატარა იაპონიას. მისი გულის წადილი ადვილი წარმოსადგენია: პატარა იაპონიას შევმუსრავ, მანჯურიას და კორეიას ხელში ჩავიგდებ, ჩინეთზე სხვებზე მეტ გავლენას მოვიპოვებ და ამით ერთ და იმავე დროს ანდაზის არ იყოს ორ კურდღელს დავიჭერ: ახალ ბაზრების გაჩენით რუსეთის ბურჟუაზიის გულსაც მოვიგებ და საზოგადოებასაც ჩემ სიძლიერეს დავანახვებო. ჩვენ უკვე ვიცით, როგორ გაუცრუვდა მთავრობას ეს იმედები. რუსეთის მთავრობა სასტიკათ დამარცხდა და იაპონიამ მას სამარცხვინო პირობებზე მოაწერინა ხელი. დამარცხებასთან ერთათ საზოგადოების უკმაყოფილება იზრდებოდა. ის, რაც რუსეთის ხალხს ათასის წლის მონობის გამო გულში ჩახვეული ჰქონდა, ყველას ახლა მოადგა ყელზე და იქიდან ერთბაშათ იფეთქა. მთელ რუსეთის საბრძანებელში საზოგადოებრივი ცხოვრება თითქო შეჩერდა, ქარხნები და ფაბრიკები ზოგი მუშათა გაფიცვების გამო დაიკეტა და ზოგიც—კრიზისის გამო. სასწავლებლები დაიხურა და მოსწავლე ახალ-გაზდობა და მასწავლებლები ქუჩაში დარჩენ. ამავე დროს გაძლიერდა პროტესტი მთავრობის წინააღმდეგ საზოგადოების ისეთ წრეებში, რომლებიც წინეთ მთავრობის ერთგული მოხრეები იყვენ. ჩვენ ვამბობთ რუსეთის სხვილ ბურჟუაზიაზე, რომლის თვალში რუსეთის დღევანდელმა მთავრობამ იაპონიასთან ომის წაგების შემდეგ სამუდამოთ დაკარგა ყოველგვარი ნდობა. მიტინგები და კრებები მთავრობის წინააღმდეგ აშკარათ, ყველას დასანახავათ იმართებოდა თითქმის ყველა ქალაქებში და დაბა-სოფლებში. მაგრამ მთავრობა მაინც არ გატყდა. მას კიდევ იმედი ქონდა ძველი დროის დაბრუნების, ისტორიის ჩარხის უკუღმა შეტრიალების. მან კიდევ ერთხელ გააძლიერა თავის დასაცავი საშუალებანი. თითქმის ყოველგვან, სადაც მოძრაობა უფრო ძლიერი იყო, საომარი დროის წესები შემოიღო, აამოძრავა ყველა ბნელი და შავი ძალები, და მკვლელობების ერთი ნაწილი მეორე ნაწილს მიუსია ამოსაჟლეტათ, რომ ამით მის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა შეე-

სუსტებია (ებრაელების აკლება, თათრებისა და სომხების შორის სისხლის ღვრა). მაგრამ აღარც ეს საშუალება გამოდგა. მაშინ მთავრობა დაადგა დათმობის გზას. მან სახელმწიფო სათათბიროს სახით რაღაც წაუჭმიტა საზოგადოებას, მაგრამ სახელმწიფოს ძირითადი კანონი თვითმპყრობელობის შესახებ ისევ შეურყეველათ დატოვა. მაგრამ წავიდა ის დრო, როცა ასეთი ხერხით ხალხის მომხრობა შეიძლებოდა. გარდა ამისა ეს „ძირითადი კანონი“ ცხოვრებაში უკვე დიდი ხანია შერყეული იყო, როგორც ამას ღღეს აშკარათ აღვიარებს ბ-ნი ვიტტე თავის მოხსენებაში 17 ოქტომბერის თარიღით. საქმეს არ უშველა არც უმაღლეს სასწავლებელში აკადემიური თავისუფლების შემოღებამ, ვინაიდგან თავისუფალი სასწავლებელი შეუძლებელია იმ ქვეყანაში, სადაც მთელი ხალხი მონობაშია. უნივერსიტეტის კედლებში აღსარებულ იქნა პიროვნების ხელშეუხლებლობა, სიტყვის, კრების და კავშირის თავისუფლება, როცა კედლებს გარეთ ყოველივე ეს სასტიკათ აკრძალულია! დამშვიდების მაგივრათ ამან კიდევ უფრო მეტი მღელვარება გამოიწვია, რაც მრავალ ადგილას შეტაკებითია და სისხლის ღვრით თავდებოდა. ასეთი იყო მდგომარეობა მაშინ, როცა მთელი რუსეთის მუშების საყოველთაო გაფიცვა დაიწყო, ისეთი გაფიცვა, რომლის მსგავსი ჯერ არცერთ ქვეყანაში არ მომხდარა. ამ საისტორიო გაფიცვას ტონი მოსკოვის მუშებმა მისცეს. გაიფიცენ პირველათ რკინის გზების მუშები და შემდეგ—ფაბრიკა-ქარხნების, სხვა-და-სხვა სახელოსნოების, სტამბების; შემდეგ გაიფიცენ მედუქნეები და ზოგ ადგილას ქალაქებში სრულებით შეწყდა ყოველგვარი მოძრაობა, დაიკეტა არათუ კერძო, არამედ მთავრობის დაწესებულებებიც. შეჩერდა მოძრაობა რკინის გზებზე, შეჩერდა ფოსტა, ტელეგრაფი. დაიკეტა ფაბრიკა-ქარხნები, შეწყდა გაზეთების გამოსვლა და ვაჭრობა აღებ-მიცემა. მდგომობარეობა მეტათ საშიში შეიქნა: ხალხი სადღაც მიიმალა, თითქო ძალას იკრეფს და საომრათ ემზადებაო. მთავრობაც შედრკა, ალბათ იგი ამას არ მოელოდა. უკანასკნელი განკითხვის დღე ახლოვდებოდა, იმას წინ მოელანდა შეიარაღებული აჯანყების აჩრდილი, და ამ აჩრდილმა იგი შეაწუხა. მაგრამ მთავრობას კიდევ მეორე მხრიდან ქონდა მომდგარი განსაცდელი. საქმე ის არის, რომ მთავრობას ფული შემოაკლდა მიმდინარე ხარჯების დასაფარავათ. ამას წინეთ გამოშვებული შინაური სესხიდან 50 მილ. მანეთი დაუფარავი დარჩა. საზღვარგარეთელი კაპიტალისტები კი დღევანდელ პირობებში რუსეთის მთავრობას ნდობას აღარ უცხადებენ. მაშ საიდან, რომელი წყაროდან უნდა იშოვნოს მთავრობამ ფული? შემოსავლის წყარომ იკლო (მარტო ბაქოს ამბების გამო ხაზინას რამდენიმე ასი მილიონი მანეთი დააკლდა), ხარჯები კი თანდათან მეტი ჰირდება. ასეთ კრიტიკულ მომენტში ნიკოლოზ მეორემ მოუწოდა რჩევისათვის გრაფ ვიტტეს, რასაც 17 ოქტომბრის მანიფესტი მოყვა. რომ მთავრობა სრულებით არ ფიქრობდა პოლიტიკური და მოქალაქებრივი თავისუფლების მინიჭებას, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. ეს თავისუფლება მხოლოთ თავდადებული და შეუწყვეტელი ბრძოლის შედეგია. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ძველი მთავრობა ჯერ კიდევ სრულ თავის ძალაშია. ამიტომ ჩვენ არ უნდა გვაკვირვებდეს ის გარემოება, რომ ხსენებულ მანიფესტში აღსარებული თავისუფლება ჯერ მხოლოთ ქაღალდზეა. როგორც მის მოპოვებისათვის ძალა იყო საჭირო, ისე მის შენარჩუნებისათვის და ცხოვრებაში გამოსაყენებლათ საჭიროა მხოლოთ ძალა და კიდევ ძალა. ყოველგვარი უფლება მხოლოთ ფიქციაა, თუ მის დასაცველათ შესაფერი ძალა ხელში არა გაქვთ. ამისათვის არ კმარა მარტო ზნეობრივ ძალა, მაგრამ არის შემთხვევა, როცა ზნეობრივ ძალასაც დიდი გავლენა აქვს. მთავრობა დღეს ყველა ბნელ ძალებს უწოდებს მოპოვებული თავისუფლების წასართმევათ, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი ზომა ბოლოს და ბოლოს არაა სასურველი თვით მთავრობისათვის, ვინაიდან ბნელი ძალების მოხმარა კიდევ უფრო ააშფოთებს საზოგადოებას და დაარწმუნებს მას, რომ ხსნა მხოლოთ ძალაშია. ერთი იმ საშუალებათაგანი, რომელიც უზრუნველ ყოფს პიროვნების ხელშეუხებლობას და ყოველ გვარ თავისუფლებას, არის ახლავე, დაუყონებლივ დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო თანასწორი, პირდაპირი და საიდუმლო ხმის უფლებით. მხოლოთ ასეთ კრებას შეუძლია ძირითადი ცვლილება მოახდინოს მთელ დღევანდელ სახელმწიფო წესწყობილებაში. მხოლოთ მაშინ მოეღება ბოლო იმ საზიზღარ მოქმედებას, რომელსაც იჩენს პირველი დღიდანვე მთავრობის რეაქცია და დასრულება რუსეთის რევოლიუციის პირველი აქტი. მაშ გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას და ძირს ყველა რეაქციონური, ბნელი, ძალები!

ფ. მახარაძე.

სხვა და სხვა ამბები.

—ოთხშაბათს, 24 ოქტომბერს ქალაქმა გაფიცვით პატივი სცა 22 ოქტომბერს უღმერთოთ დაჟლეტილი ხალხის ხსოვნას. საღამოს 5 საათზე ერთბაშათ დაიკეტა ყველა მაღაზიები და სავაჭრო სახლები. ტრამვაიმ მოძრაობა შეწყვიტა, ეტლები თავიანთ შინ წავიდ-წამოვიდენ და ცხოვრების ნიშან წყალი მიწყდა. ქუჩაზე არავინ ჩნდა და თფილისი მკვდართა ქალაქს დაემსგავსა. არც პოლიციის მოხელეები ჩნდენ თავიანთ პოსტებზე. ღამე წყვდიადით იყო მოცული, რადგან არც ერთი ფარანი არ აუნთიათ. მეორე დილის ქალაქის სხვა და სხვა ადგილებზე შავი სამგლოვიარო დროშები იყო გაკეთებული.

—პეტერბურგიდან დეპეშამ შემდეგი ამბავი მოგვიტანა:

გენერალ ტრეპოვს ჩამოერთვა გენერალ-გუბერნატორის წოდება, პეტერბურგის გარნიზონის უფროსობა, გადაყენებულ იქმნა აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგისა და პოლიციისა და ჟანდარმთა კორპუსის უფროსობის ადგილიდან, ინიშნება სასახლის კამენდანტათ და რჩება მის უდიდებულესობის ამალაში. ეს ის „ყოვლის შემძლე“ ტრეპოვია, რომელმაც თავისი ხან-მოკლე მეფობის დროს მთელი რუსეთი შავი და თეთრი რაზმის ბანაკათ და ყაზარმებათ გადააქცია; ეს ის ტრეპოვია, რომელმაც მთელი რუსეთი უმანკო სისხლით მოარწყო; ეს ის ტრეპოვია, რომელიც ჯერ კიდევ 14 ოქტომბერს ასეთ ბრძანებას აძლევდა თავის დამჭაშებს: უტყვიოთ თოფი არ გაისროლოთ! ტყვიას და წამალს ხალხის ამოსაჟლეტათ ნუ დაზოგავთო. დღეს ტრეპოვი დაცემულია, მაგრამ იცოდეთ რომ პატარა ტრეპოვი ჯერ კიდევ ყველა კუთხეს ყავს და იმათი ჩამობრძანებაც აუცილებელი საჭიროებაა!

—გურიაში მომხდარ ამბების შესახებ გაზ. „ცნ. ფურ.“ ქუთაისიდან ატყობინებენ:

16 ოქტომბერს სამასი გურული დაეცა ჩოხატაურის პოსტს. მოკლეს ერთი, დასჭრეს ორი სტრაჟნიკი. წაიღეს ათი ბერდანის თოფი.

17 ოქტომბერს გურულებმა ტყვეთ წაიყვანეს ბოქაული გაგუა და სტრაჟნიკები. ამასთან წაართვეს ბერდანის თოფები და პატრონები.

18 ოქტომბერს ჩოხატაურში ყაზახებით ჩავიდა მაზრის უფროსი.

19 ოქტომბერს, უკან დაბრუნებისას, ნასაკირალში მაზრის უფროსს მცხოვრებნი ჩაესაფრენ. ატყდა სროლა თოფებისა და ყუმბარებისა. რამდენიმე ყაზახი დაიჭრა. ექვსი ყაზახი გურულებმა ტყვეთ წაიყვანეს.

20 ოქტომბერს მაზრის უფროსი და მომრიგებელი მოსამართლე ყაზახებით და დაჭრილებით უკან, ოზურგეთში, დაბრუნდა. გზა და გზა ეს რაზმი წვავდა მცხოვრებთა სახლებს. გურულებმა ტყვეობიდან გაანთავისუფლეს ბოქაული და სტრაჟნიკები.

გუბერნ. სტაროსელსკი გურიაში წასულა.

— ამ დღეებში ქუთაისის გუბერნიაში საომარ დროის წესები შემოიღეს. ასე ახორციელებენ ჩვენში მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ თავისუფლებას; ასეთმა განკარგულებამ ხალხი მეტათ აღელვა და უკმაყოფილო გახადა.

—ქუთაისიდან ჩვენ დეპეშით 28 ოქტომბერის თარიღით გვატყობინებენ: ყვირილაში დააკავეს სამხედრო მატარებელი. ნასაკირალზე (გურიაშია) კაზაკებს დაეცნენ. მოკლული და დაჭრილია სამოცი კაზაკი. გურულებიდან დაჭრილია სამი და ერთი მოკლულია. გზაზე კაზაკებმა სოფ. დვაბზუში დაწვეს 30 სახლი. ჩოხატაურში გურულებმა ტყვეთ წაიყვანეს პრისტავი, 4 კაზაკი და სტრაჟნიკები. სტაროსელკი გადაყენებული არ არის. წინანდელი ხმები გაზვიადებულია.

ამბობენ, საარტისტო საზოგადოების თეატრი კაზარმად უნდა გადააკეთონო.

ორშაბათს, 24 ოქტომბერს, ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის სადგომში, ტფილისის პედაგოგთა კრება მოხდა. პედაგოგებმა დაადგინეს, სწავლა შესწყვიტონ იმ დრომდე, ვიდრე ტფილისში სამხედრო წესები გაუქმებულ არ იქნება, სოფლებიდან ეგზეკუცია გამოყვანილ არ იქნება და ის შენობები, რომლებიც ხოცა-ძლეტის შემდეგ კაზარმებად გადააკეთეს, თავიანთ პატრონებს არ დაუბრუნდება. შემუშავებულ რეზოლიუციას ყველა ბედგოგებმა ხელი მოაწერეს.

ტფილისის პოლიცმეისტერმა დ. ა. ცისმა სამსახურს თავი დაანება. მის ადგილს ახლიხის მაზრის უფროსი კაპიტანი პოდგურსკი ინიშნება.

ქართულ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელნი და მოსწავლენი ამჟამად ერთობ ცუდ მდგომარეობაში არიან. 22 ოქტომბრიდან სკოლაში ჩადგა ჯარი, თუმცა სკოლაში დროებისა და ერთი პროკლამაციის გარდა არა უპოვნიათ-რა. მასწავლებლებმა მთავრობას წინადადება მისცეს, ამ მდგომარეობაში რადგან სწავლება არ შეგვიძლია, შეგირდებს სექტემბრამდე დავითხოვთო, მაგრამ წინადადება შეწყნარებული არ იქმნა და ჰბრძანეს: სწავლა ახლავ დაიწყეთო. სწავლა სასწავლებელში ჯერ-ჯერობით მაინც არ არის. მოსწავლეებს და მასწავლებლებს ერთმანეთს შორის ქართულ ენაზე ლაპარაკი აკრძალული აქვთ. ამ საქმის გამო გუშინ-წინ, 24 ოქტომბერს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი ნამესტნიკთან იყო და სკოლიდან ჯარის გაყვანა სთხოვა, მაგრამ თხოვნა დაკმაყოფილებული არ იქმნა.

---

22 ოქტომბერს, ავლაბარში, ბეგლაროვის ქუჩაზე, გარდიმოვის სახლში საზარელი ამბავი მოხდა. ამ სახლში დგას გორის მაზრის, მცხოვრები გრიგოლ აბაშვილი, რომელსაც მეზუთე საპოლიციო უბანში, შადინოვის ქარვასლაში მანუფაქტურის მაღაზია აქვს. მას სახლში ჰყოლია ცოლი მარიამი, შვილები: ირაკლი—სამი წლისა, ვახტანგი—4 წლისა და სონა—11 წლისა. პირველი გიმნაზიის მოსწავლე და ძმისწულები: ალექსანდრე სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლე და იოსები—34 წლისა. აბაშვილის სიტყვით, საქმე ასე იყო: ოჯახობით ის იდგა ბალკონზე და იყურებოდა ქუჩაში, სადაც საპოლიციო უბნის ზედამხედველი და დრაგუნთა პოლკისა და ტფილისის ორი აფიცერი იდგნენ, უცებ რევოლვერი გავარდა, რადგან ეჭვი მიიტანეს, რომ სროლა აბაშვილის სადგომიდან იყოვო, საჩქაროდ დაუწყეს სახლს სროლა. შეშინებულ ოჯახობა მეზობლის—დროებით დათხოვნილ სალდათის ბინაზე, ამავე შენობაში, მაგრამ სროლა იქაც გაგრძელდა. მარიამმა შვილები გარს შემოირტყა და სტიროდა, რომ ამ დროს ტყვია მოხვდა და და სული განუტევა. სალდათები შემდეგ სახლში შევიდნენ და დაშჭრეს ტყვიებითა და იარაღით: იოსები (მძიმედ), გრიგოლ საბაშვილი, ალექსანდრე და სონა. გრიგოლ საბაშვილი, ალექსანდრე და იოსები ამჟამად მიხეილის საავადმყოფოში წვანან. პატარა ბავშვები ნათესავებთან არიან შეფარებულნი. (ცნ. ფ)

ავჭალაში ქალაქის წყლის მილს ორი თვე დრაგუნთა პოლკის სალდათები დარაჯობდნენ. დრაგუნები გამოიყვანეს და იმათ ნაცვლად ყაზახები ჩაიყვანეს. წყლის მილის მოსამსახურეებმა აცნობეს მოურავის მოადგილეს, თუ ყაზახებს არ წაიყვანთ, გავიფიცებით და ქალაქს სრულიად უწყლოდ დავტოვებთო. მოურავის მოადგილემ შესაფერი შუამდგომლობა აღძრა.

ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე 26 ოქტომ., დაიწყო მატარებლების მიმოსვლა. ბათუმის მხარეს მატარებლები მარტო ხაშურამდის დადიან, რადგან იქით ადგილ-ადგილ, ლიანდაგი აყრილია, ხიდები და ბოგირები წამხდარი. სატელეგრაფო ნაწილის უფროსის თანაშემწე ბათუმისკენ წავიდა ტელეგრაფის აღსადგენად, მაგრამ მარილისს ვერ გასცდა.

იმ სათადარიგო ჯარის-კაცთ, რომლებიც ამჟამად რკინის გზაზე მსახურებენ, უბრძანეს: ,,თუ სამხედრო სამსახურში თავის დროზე არ გამოცხადდით, სასტიკათ დაისჯებითო.

---

25 ოქტომბერს, მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს სასიკვდილოდ დაჭრილი კაცი, რომლის პიროვნებაც ვერ გამოირკვა. იგი დაუჭრია გვარდიის ერთ-ერთ აფიცერს.

ბევრს გოლოვინის პროსპექტიდან თავიანთი მაღაზიები სხვა ადგილებში გადაუქვთ. ბევრი მაღაზიები და დუქნები გოლოვინის პროსპექტზე დემტვრეული და გაძარცულია. დაზარალებულთაგან ბევრმა ტფილისიის გენერალ-გუბერნატორს ჟილიაის მიმართა, რომ ეს საქმე გამოიკვლიოს. მაღაზიები სისხლის ღვრის დროს გაუტეხნიათ.

დ ღ ი უ რ ი

(18—24 ოქტომბრამდე)

18 ოქტომბერი. შესანიშნავია დღევანდელი დღე. არაფერი იმის მსგავსი, რაც დღეს თფილისში მოხდა—მე, დამონებული რუსეთის უფრო ქვეშევრდომს, არ მინახავს. 18 ოქტომბერი და ამ დღის შთაბეჭდილებანი, მე მგონია, არასოდეს არ ამოიშლება თფილისელის გონებაში. ეს რაღაც გამოუთქმელი სიხარულის, აღტაცების, თავდავიწყების და საერ-

თო აღფრთოვანების მეჯლისი და დღესასწაული იყო. პირველათ ვიხილე ჩემ სიცოცხლეში **ხალხის**, ნამდვილი ხალხის თავისუფალი კრება, სხვებთან ერთათ განვიკადე მსწრაფლი მეტამორფოზა—მონა ქვეშევრდომი უფლებიან ადამიანათ გავხდი...

ჯერ კიდევ დილა იყო, როდესაც უჩვეულო ხმები გავრცელდა: ტელეგრამამ კონსტიტუციის ამბავი მოიტანაო.—რუსეთში სიტყვის, ბეჭდვის, კავშირების და კრებების თავისუფლება და პიროვნების ხელ-შეუხლებლობა გამოცხადდაო. ამ ხმებს ყველა სკეპტიკურათ ისმენდა, არავის არა სჯეროდა ეს მართლაც-და დაუჯერებელი ამბავი. რუსეთი და სიტყვის თავისუფლება! თავისუფლათ ლაპარაკი, აზრი და ჰირვარამის პირ და პირ გამოთქმა იქ, სადაც ერთი უმნიშვნელო სიტყვისთვის ვინ იცის რა უბედურება არ მოგელის!... რუსეთი და თავისუფალი პრესა! განა ეს დასაჯერებელია? თავისუფლათ წერა ისეთ სახელმწიფოში, სადაც რაიმე პატიოსანი აზრის გაზეთში გამოსათქმელათ ლიტერატურული ეკვლიბრისტობაა საჭირო, სადაც აწყობილი ნომერი ისე არ დაგიბრუნდება ცენზორიდან, რომ ნახევარი თუ არა მეოთხედი მაინც წითელი მელნით არ იყოს გასისხლიანებული.. რუსეთი და კრების თავისუფლება! კრების თავისუფლება იმ ქვეყანაში, სადაც ხუთ კაცს ერთათ ვერ გაეღია ქალაქის ქუჩაში ყაზახ-რუსის მათრახების და ტყვიების შიშით, სადაც სამ კაცზე მეტი სტუმარი ვერ მიგიღია ყოველის შემძლე პოლიციის და ჟანდარმერიის შიშით... პიროვნების ხელ-შეუხებლობა ხომ სრულიად წარმოუდგენელია, რადგან რუსეთის ქვეშევრდომს პიროვნება არა აქვს მთავრობის აზრით და ვინც თავის პიროვნების დაცვას გაბედავს, მან წინ და წინ უნდა იცოდეს, რომ კარგი დღე არ დაადგება.. მოდი და დაიჯერე ამას შემდეგ ასეთი ამბები...

ყველანი რედაქციებისკენ მიეშურებიან ნამვილი ამბავის გასაგებათ, რადგან ქალაქში მეოთხე დღეა საერთო გაფიცვა დაიწყო და გაზეთები არ გამოდის. ქუჩაში ერთი მეორეს ახერებს და გატაცებით უამბობს ახალ ამბავს. გოლოვინის პროსპექტი, რომელიც გუშინ და გუშინ წინ მცხოვრებლებისგან მიტოვებული ქალაქის ქუჩას მოგაგონებდა—ხალხითაა სავსე. „Тифл.Лист."-ის რედაქციასან სამასამდე კაცს შეუყრია თავი, ყველას ზევით აქვს ხელები გაშვერილი, რედაქციის აივანისკენ საიდანაც რაღაც ფურცლებს ისვრიან ხალხში. ნუ თუ მართალია? ნუ თუ შესაძლებელია? აგერ, სახაზინო თეატრთან რამოდენიმე ათას კაცს შეუყრია თავი, თეატრის კიბეზე და აივანზედაც ხალხი ბლომათ მოგროვილა. გაისმა ხალხის აღტაცებული ყიჟინა და ტაშის ცემა. როცა ხმაურობა მიწყნარდა მარტო ერთიღა ლაპარაკობდა თეატრის აივანიდან. ორატორი ყველაზე მაღლა იდგა და მისი სიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტათ მოისმოდა...

მართალია! მართალი ყოფილა!

განცვიფრებული ჯარის კაცები და დრაგუნები უაზროთ შესცქერიან ამ უჩვეულო სურათს და არ იციან როგორ მოიქცენ, გაწყრენ თუ მათაც გაიხარონ აღტაცებულ ხალხთან ერთათ.

— გაუშვით, გაატარეთ ჯარის კაცები, ხალხო, ესენი ჩვენი ძმები არიან, მოისმის აქეთ-იქიდან აღფრთოვანებული ხმები და ჯარის კაცები, რომელნიც გუშინ ასეთ უკანონო ყრილობას ტყვიით გასცემდენ პასუხს, ახლა თავ-ჩაღუნულნი და დარცხვენილნი, სულელური ღიმილით განაგრძობენ გზას.

ყრილობა თან და თან იზრდება. ორატორები ლაპარაკს განაგრძობენ და მათი თავისუფალი სიტყვები, გულადი და ამაღელვებელი, ვერცხლის ზარასავით გაისმის ჰაერში. აღტაცებას საზღვარი არა აქვს. ყველას სახეს აუწერელი სხივარულის ბეჭედი აზის. ამ წამში აღარავის ახსოვს თავისი გასაჭირი, თავისი ჯერძო ვარამი; აქ აღარ არის: შე. შენ, იგი—პიროვნება—აქ ხალხია ერთი გრძნობით, დიდი ბიხარულის დიადი გრძნობით შეპყროზილი და შებოჭვილი; ამ უშველებელი გრძნობის მდინარეს აუტაცნია რამოდენიმე ათასი კაცი და მხოლოთ სიხარული, აღტაცება, გამოურკვეველი, განუსაზღვრელი, გონიერებას მოკლებული—ანგარიშ-მიუცემელი სახარული ათამაშებს მათ თავის ტალღებზე, როგორც აღელვებული ზღვის ზვირთები ხის მჩატე ნაფოტებს.

— თავისუფლება, გაუმარჯოს თავისუფლებას! ძირს მონობის მიზეზი!

ეს სიტყვები ყველას პირზე აკერია...

აქ ხომ რამოდენიმე ათასი კაცია, მხოლოთ. აქ საზოგადოების მარტო ერთი კლასია უმეტეს ნაწილათ—ბურჟუაზია. პირველათ ამათ იგემეს აკრძალული ხილის სიტკბოება, ის კლასი კი საზოგადოებისა, რომელმაც თავისი სისხლით, თავის გმირული ბრძოლით, მედგარი თანდათანობით, თავგანწირულებით მოიპოვა ეს „თავისუფლება"—აქ არ არის. მუშა ხალხი, პროლეტარიატი, ნაწილი რუსეთის პროლეტარიატისა, რომელმაც გაბოაფხიზლა გაუბედავი და ფრთხალი სფერები რუსეთის საზოგადოებისა და ბრწყინვალე ბრძოლის სურვილი აღუძრა მიდუნებულ გულში. რომელიც ყოველ პროგრესიულ მოძრაობაში მოწინავე რაზმს შეადგენს და რომელსაც მუდამ მაღლა უჭირავს თავისი წითელი დროშა—აქ არსად სჩანს. მას თავისი უბანი აქვს იქ, ქალაქის დასალიერს, სახელოსნოებთან და მანქანებთან ახლოს. იქნებ არც კი იცის ჯერ, რომ მისმა მარჯვენამ მომავალი თავისუფლების დასაწყისი გამოსჭედა, ერთი რგოლი გამოაკლო მონობის რკინის ჯაჭვს და ესენი აქ სხვის ცეცხლზე ხელს ითბობენ, სხვის ლუკმას შეექცევიან.

— ამხანაგებო და მოქალაქენო! წავიდეთ ნაძალადევში... მუშებთან, რომელთაც სამართლით ყველაზე უწინარეს უნდა ედღესასწაულებიათ დღევანდელი თავისუფლება!

— ნაძალადევში! წავიდეთ ნაძალადევში.

— მუშებთან წავიდეთ, ამხანაგებო!

გაისმა რამოდენიმე ხმა და ხალხი მწყობრათ გაემართა ვერის დაღმართით.

შვენიერი დარი იდგა და ცხრათვალი მზის სხივები, თითქოს ესენიც თავისუფლებას დღესასწაულობენო, ლაღათ და უხვათ ეფინებოდა მდინარე-ხალხს. აქა-იქ მარსელიეზის და სხვა სარევოლიუციო სიმღერის ხმა გაისმოდა. თფილისის ქუჩებს ალბათ უკვირდა რომ ასეთი თავხედი ხალხის ამნაირი კადნიერი სიმღერების გამგონე სისხლის ნაღვარით არ ირწყებოდა. გამოჩნდა წითელი დროშაც. მიხაილოვის პროსპექტზე ხალხს წამოეწია მეორე გიმნაზიის მოწაფეთა მუსიკის ორკესტრი, რომელმაც მარსელიეზით გაიარა და წინ მოეკცა ხალხს. სახლების აივანები გაჭედილი იყო მაყურებლებით და ყველანი აღტაცებით ეგებებოდენ მოზღვავებულ ხალხს და სოლიდარობის ნიშნათ წითელი ფერის ქსოვილები გამოქონდათ გარეთ.

ხალხი დიდუბის მოედანზე შეჩერდა. წითელი დროშების რიცხვმა იმატა. აქ მუშებიც ბლომათ იყვენ. ორატორების სიტყვები ქუხდა ჰაერში და მაყურებლები აღფრთოვანებული ყიჟინით და ტაშის ცემით აჯილდოებდენ მოლაპარაკეთ.

— ამხანაგებო და მოქალაქენო! რას ნიშნავს ის უჩვეულო სანახაობა? ეს რა საშიში ძახილი გაისმის რუსეთის სახელმწიფოში: თავისუფლებაო! რატომ ტყვიით და მათრახე-

ბით არ უმასპინძლდებიან თავხედ ხალხს? ნუ თუ დაუძლურდენ მტარვალნი? ნუ თუ ტყვია-წამალი გამოელიათ? ან ეგებ მართლა შეიგნეს ხალხის ინტერესები და მის საკეთილდღეოთ ზრუნავენ. ნუ თუ ხალხის სიყვარულმა ჩაადენია მთავრობას ის, რასაც ჩვენ ვხედავთ? არა და არა! ეს შიშია, ამხანაგებო, ეს ხალხის ძლიერების შიშით გამოწვეული უკანდახევაა მთავრობისა! მტერი ხალხისა—მთავრობა შეკრთა წინაშე აბობქრებული ზღვისა. მან უკან დაიხია, რათა უფრო მოიმარჯვოს თოფ-ზარბაზანი. ჩვენ აქ არ შევკრებილვართ იმისთვის, რომ ვინმეს მადლობა გამოუცხადოთ. ჩვენმა მარჯვენამ გამოგლიჯა ხელში მთავრობას ეს დროშები, პროლეტარებო, და ჩვენმა სისხლმა შეღება ისინი წითლათ. მადლობა კი არა ზიზღი და მძულვარება მათ, რადგან ჩვენი სიხარული მათი მწუხარებაა, ჩვენი ჰირ-ვარამი—მათი ბილწი გულის მალამოა.

ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ ერთი ნაფლეთი თავისუფლებით, რომ უფრო გავაძლიეროთ ბრძოლა და მივახწიოთ ჩვენს უახლოეს მიზანს—დავამყაროთ დემოკრატიული რესპუბლიკა. გაუმაჯოს დამფუძნებელ კრებას! გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას! გაუმარჯოს რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას! ძირს მტარვალები!

ხალხი თითქო ბაგეთაგან გლეჯდა ორატორებს მამაცურ ლოზუნგებს და ჰაერში მედგრათ გაისმოდა რამოდენიმე ათი ათასი კაცის ყიჟინა...

დიდუბის მოედანზე ხალხი სამ ნაწილათ გაიყო: ერთი ნაწილი მეტეხისკენ გაემართა, მეორე გოლოვინის პროსპექტისაკენ, მესამე კი ნაძალადევში წავიდა. საღამომაც მოახწია და ხალხი დაიშალა. ხვალ დილის ათ საათზე ნაძალადევში მიტინგი გაიმართება, სოციალდემოკრატიული პარტიის ორგანიზაციის ხელმძღვანელობით.

19 ოქტომბერი. დილის $10^1/_2$ საათზე უკვე დიდ-ძალ ხალხს მოუყრია თავი ნაძალადევის მოედანზე. დარი დღესაც ხელს უწყობს ხალხის დღესასწაულს. საუცხოო სურათს წარმოდგენს კრება ნაძალადევის ხიდიდან. ჰაერში ორმოცზე მეტი წათელი დროშა ფრიალებს. დროშები ხალხის შუა გულშია ამართული და ისე საამურათ დაშრიალებენ მედიდურათ იშლება, თითქოს თავს დახაროდეს ამოდენა ხალხს და მასთან თავის სიდიადესაც გრძნობდეს.

მიტინგი უკვე დაწყებულია და ორატორები რუსულ, ქართულ და სომხურ ენაზე უხსნიან ხალხს დღევანდელი მდგომარეობის მნიშვნელობას. ხალხი სულ-განაბული უსმენს მათ. ორატორები თავიანთ სიტყვებს რევოლიუციონური ლოზუნგებით ათავებენ:

— გაუმარჯოს თავისუფლებისთვის ბრძოლას, ამბობს ორატორი.

— გაუმარჯოს თავისუფლებისთვის ბრძოლას! გრიალებს ხალხი.

— გაუმარჯოს პროლეტარიატს და მუშათა პარტიას!

— გაუმარჯოს პროლეტარიატს და მუშათა პარტიას, გაისმის ხალხის გრგვინვა და თითქო მთელი არე-მარე ეხმაურება ამ ორმოციათას კაცის ქუხილივით მრისხანე ძახილს...

— ამხანაგებო და მოქალაქენო!

— სიჩუმე, ხალხო, სიჩუმე!

— ამხანაგებო! თავისუფლების შუქს ჯარის კაცთა დახშულ უჯარმებშიც შეუნათებია. იქაც გაიგეს სასიხარულო ამბავი და შეგნებული ნაწილი ჯარის კაცებისა ძმურ სალამს და თანაგრძნობას უთვლის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და მის დროშის ქვეშ მებრძოლ ამხანაგებს! გაუმარჯოს შეგნებულ ჯარის კაცთ!

ამ სიტყვებმა განუსაზღვრელი აღტაცება, ბავშური სიხარული გამოიწვია ხალხში. ისეც მხიარული პირისახეები რამოდენიმე ათი ათასი კაცისა ბედნიერების ღიმილმა გააშუქა და მძლავრი ხმა აღტაცებისა გულის სიტკბოებით ერთბაშათ ხალხს.

— გაუმარჯოს ჯარის კაცთ, იგრიალა ხალხმა.

ისეთ ნაირათ ააღელვა ყველანი ამ სასიამოვნო და საგრძნობელმა ამბავმა, რომ ერთი მეორეს ვეღარ ამჩნევდა და თავის სიხარულის სავსებით გამოხატვას ვერავინ ახერხებდა. ორატორები ლაპარაკს განაგრძობდენ. ტრიბუნაზე ჰაღარა-შერეული ორატორი ავიდა, ქუდი მოიხადა და ანიშნა ხალხს რომ ლაპარაკი სურს და სიჩუმის დამყარებას უცდის. ხალხმა სული გაკმინდა.

— ამხანაგო პროლეტარებო!

დაიწყო ორატორმა ხმა-მაღლა. სიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტათ გაისმოდა ჰაერში.

ჩვენ ვიგემეთ მცირე თავისუფლების ნაყოფი... ჩვენ ამ წუთში ბედნიერები ვართ... მაგრამ ისინი, ვისი წყალობითაც დღესასწაულობს დღეს პირველ გამარჯვებას რუსეთი, ჩვენი მებრძოლი ამხანაგების საუკეთესო ნაწილი ჩვენთან არ არის...

სად არიან თავისუფლებისათვის თავ-დადებული ამხანაგები! იგინი ციხეში იმყოფებიან, ამხანაგებო. იმათ ვერ გაიზიარეს საერთო მხიარულება... იგინი ჩვენი საუკეთესო ამხანაგებია... ჩვენ უნდა ვუშველოთ მათ, ამხანაგო პროლეტარებო!

— დავიხსნათ, დავიხსნათ ღრიალებს ხალხი.

— ამხანაგებო! როდესაც ჩვენ, თავისუფალნი და ბედნიერნი, რიცხვით რამოდენიმე ათი ათასი, შევკრებილვართ აქ ჩვენ საქმეებზე მოსალაპარაკებლათ, ქუჩებში კიდევ ჯარები დგას. ქალაქში კიდევ საომარი წესები მეფობს. ვის გაუგონია ასეთი თავისუფლება, ამხანაგებო!

— ძირს საომარი წესები! გრგვინავს ხალხი.

— ჩვენი ძმები, ამხანაგებო, საუკეთესო ნაწილი ჩვენი გლეხობისა დღეს დიდ გასაჭირში იმყოფება. მთელი სოფლებს რევოლიუციონური გლეხობისას განადგურება მოელის. იქ ეგზეკუციაა ჩაყენებული. იქ ყაზახ-რუსთა მათრახები თარეშობს, აწიოკება მოელის მათ. ჩვენ ვერ მოვითმენთ ამას, პროლეტარებო!

— ძირს ეგზეკუცია! გაუმარჯოს მებრძოლ გლეხობას! გაისმის ხალხის საერთო ყიჟინა.

— ჩვენ წავალთ ნამესტნიკის სასახლისაკენ. წავალთ, სანამ გზას მოგვცემენ. სათხოვრათ და სახვეწნელათ როდი მივდივართ იქ! ხალხი, რომელსაც სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ შეუყრია თავი არასოდეს არ იკადრებს თხოვნა-მუდარას! ჩვენ მოვითხოვთ, რომ გაათავისუფლონ ჩვენი დატყვევებული ამხანაგები, მოხსნან საომარი წესები და გამოიყვანონ სოფლებიდან ჯარები!

— წავიდეთ, წავიდეთ! გუგუნებს ხალხი.

— ჩვენ წავალთ მწყობრათ, წეს-რიგით. ჩვენ დაუმტკიცებთ ჩვენ მტერს, რომ წეს-რიგი, რომლითაც მას თავი მოაქვს და მუდამ ამაყობს, მისი მოგონილი არ არის...

ხალხი დაიძრა. წინ მიუძღვის წითელი დროშები სხვადასხვა სარევოლიუციო წარწერებით და დიდებული მარქსის სურათით. საუცხოო წეს-რიგია. ალაგ-ალაგ მომღერალთა ჯგუფები რევოლიუციონურ სიმღერებს გალობენ. არის აგრეთვე რკინისგზის მუშათა და გიმნაზიელების ორკესტრები და მარსელიეზის დიდებული ხმები უერთდება სიმღერის ხმებს ..

ავჭალის მეორე ქუჩა ხალხის მდინარემ დაფარა. დასაწყისი და ბოლო არ უჩანს ხალხს. დინჯათ მიღელავს ეს ნამდვილი ზღვა 50—60 ათას კაცისა. უცებ გაისმა ძლიერი ყიჟინა და აღტაცებულმა ძახილმა შეარყია ჰაერი. როგორც

ქარიშხალი დაბურულ ხშირ ტყეში გადაივლის უზმრმაზარ ხეებს და ჩაკვეტება სადღაც შორს, ისე ჩაირბინა ხალხის გულიდან ამონახეთქმა სიხარულის გრგვინვამ და მიწყდა სადღაც შორს, სივრცეში.

— ჯარის კაცები, სალდათები! ისინი გვესალმებიან, წითელი დროშები გამოუტანიათ! გაუმარჯოს სალდათებს! გაიძახიან ირგვლივ. ხალხი შეჩერდა. აიყვანეს რამოდენიმე ორატორი და ჯარის კაცთა აღელვებული სახეები სიყვარულით და აღტაცებით მიბრუნდა მათკენ.

ამხანაგებო სალდათებო!

მიმართავენ ორატორები და ძლიერი, ჭეშმარიტი სიტყვები გულში ხვდება ჯარის კაცთ...

მივაღწიეთ გოლოვინის პროსპექტს. პურღვინოს სასტუმროდან დაწყებული ვერის დიმართის დასაწყისამდე პროსპექტი ხალხითაა დაფარული.

ქუჩა ცხოვრობს, ღელავს, გრგვინავს და ბობოქრობს. ხალხი გაჩერებულია და ყველანი გრძნობენ ამ თვალ უწვდენელ მასაში დაფარულ, თავშეკავებულ სიძლიერეს. ლამაზი შენობის ფანჯრებიდან და აივნებიდან ჩასუქებული, ლაღი და მაძღარი, „სუფთა“ პუბლიკა იცქირება და უკვირს უჩვეულო სანახაობა. ხალხი ელოდება. ნამესტნიკთან დელეგატებია გაგზავნილი და პასუხს უცდის 80 ათასამდე კაცი. ხალხი და მთავრობა. აქ ხალხი უიარაღო, მშვიდი და წყნარი, როგორც დროებით დამშვიდებული ზღვა, მაგრამ ზღვასავით ძლიერი და შეუპოვარი, როცა მას ქარტეხილის ქროლა ჩაურბენს და იქ მთავრობა და ჯარი, თოფ-იარაღში ჩასმული, გარეგნულათ ძლიერი და ნამდვილათ კი სუსტი, უღონო წინაშე ხალხის ძლიერებისა. ხალხი იცდის. აქა იქ, ამაყათ ამართულ დროშებთან ორატორები მოსჩანან. მათ ცალი ხელი დროშის ტარისთვის ჩაუკიდიათ, მაღლიდან დაყურებენ ხალხს და ვაჟკაცურ სიტყვებს ესვრიან...

დაბრუნდენ დელეგატები.

— ამხანაგებო! ჩვენ, თქვენი გადაწყვეტილებისამებრ ნამესტნიკთან ვიყავით და მოთხოვნილებები წარვუდგინეთ. მხოლოთ ერთი მოთხოვნილება დააკმაყოფილა მან და ისიც სანახევროთ. ის დაგვპირდა იმ ტუსაღ ამხანაგების განთავისუფლებას, რომელთაც მშვიდობიანი პროპაგანდა და აგიტაცია ბრალდება. დანარჩენნი კი ისევ ციხეში დარჩებიან. რაც შეეხება სამხედრო წესების მოსპობას, ნამესტნიკმა გვიპასუხა, რომ სანამ გაფიცვას არ მოხსნით სამხედრო წესები ძალაში იქნებაო. ეკზეკუციაზეც ამ ნაირი პასუხი მოგვცა მან და დავუპირდა შუამდგომლობას ალვძრავ უმაღლესი მთავრობის წინაშე ყველა ამის შესახებო. შესწყვეტთ თუ არა გაფიცვას, ამხანაგებო?

არა, არა! იგრიალა ხალხმა.

— მაშ გაფიცვა ისევ ძალაში, რჩება.—რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის თფილისის ორგანიზაციის ბიურო მიტინგს ხურავს და გიცხადებსთ, რომ ხვალ ნაძალადევში, იმავე ალაგს, სადაც დღეს იყავით შეკრებილნი, მიტინგი ხელ-ახლა დაიწყება დილის 10 საათზე. ხალხი დაიშალა.

(დასასრული იქნება)

შ. შ.

რუსეთი.

რუსეთის უკანასკნელ ძლევა მოსილ მოძრაობაში „ძველმა დედა-ქალაქმა“ დაიმსახურა პირველობის სახელი. არავის ეგონა თუ მოსკოვში, რუსეთის გულში, ამდენი რევოლიუციონური ძალა ისხებდა. წარსული უმოქმედობა და ინდიფერენტიზმი, რასაც ძალიან უსუფდურებდენ ამ ქალაქს, გამოიყიდა მან და დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ისიც, როგორც მთელი სუკეთესო რუსეთი, მზით არის მეგრძოს ებრძოლოს თვითმპყრობელ მთავრობას. მოსკოვის არეულობას, როგორც მკითხველმა იცის, მოეყო თითქმის საერთო გაფიცვა რკინის გზებისა და ამ კვართა სახელმწიფოს ორგანიზმის არტერიებში სისხლის მიმდინარეობა შეჩერდა. უკეთესი მერმისისათვის მებრძოლმა ხალხმა ძალ-დონე მოიკრიბა, ერთხელ კიდევ შეებრძოლა „სახელმწიფოს ძირითად შეურყეველ პრინციპებს“ და შეარცხა კიდეც. მან ძალით გამოგლიჯა მთავრობას თავისუფლების ნაფლეთი კასისხლიანებულ ხელებისაგან. შეშმორეულმა მთავრობამ „უბოძა“ თავის „ერთგულ ქვეშევრდომთ“ სიტყვის, სვინდისის, კრებების და კავშირების თავისუფლება და პირადუნების ხელშეუხებლობა. გასთვრთავა ეკრეთვე სახელმწიფო სათათბიროს უფლებები და „თვრთა კონსტიტუციის“ უზრუნველ მეოთხე პრინციპები დაამყარა. რადგორაა ეს თავისუფლებები და ეს კონსტიტუცია—ჩვენ დღესაც კარგათ ვხედავთ, ხოლო მომავალი უფრო ნათლათ დაგვანახვებს. ახლა კი გავითვალისწინოთ, რა მოეყო მთავრობის ასეთ ლაბირანტურ ნაბიჯს. გამოვიდა თუ არა სასიხარულო მანიფესტი რუსეთმა ერთ წუთში შეკრებით თავისუფლათ ამოისუნთქა, მაგრამ მხოლოთ ერთი წუთი გაგრძელდა ეს ბედნიერება. ამ ბედნიერ წუთს მოეყო ისეთი უბედური დღეები, რომლის მსგავსი თვით რუსეთსაც არ ახსოვს. სახელმწიფოს უველა კუთხეებში თავი წამოყო იმ სატიზღარმა ელემენტებმა, რომელთაც ჩვენ აქამდე შიშით „ძნელ ძალებს“ ვუწოდებდით, ხოლო ახლა, ცოტა უფრო გათავხედებულნი, პოლიციას და მის დამქაშებს დავარქმევთ. ამითი შეცდინებით თითქმის უველა ქალაქებში შესდგა შესთერით მოწყობილი ბრბოები, რომელთა დევიზს „დაწვი, გაანადგურე, იძარცვე და ინავარდე“ შეადგენს და რომელთაც სვინდის ნამუსი სალებ-მიცემო საქონლით გაუხდიათ. უნდა კმოვტყდეთ, რომ ამათთვის მართლაც რომ სუფევს პირადუნების ნამდვილი ხელშეუხებლობა და სიტყვის, სვინდისის, კრებების და, ასე განსაკუთრებით, მოქმედების თავისუფლებაც. ასეთი „მებრძოლი რაზმების“ მოხებით დღეს მოედი რუსეთის სუკეთესო და უმწეო ნაწილი შიშში და განსაცდელში იმყოფება და უველგან უდანაშაულო ხალხის სისხლი იღვრება. დაბეშების საშინელი ამბები მოაქვს რუსეთის უველა კუთხეებიდან. ჩვენმა მკითხველებმა, ალბათ, უკვე იცით ამ დაბეშების შინაარსი, მიეხვედით ამასა ჩვენ მისც მოგეცვით აქ რამოდენიმე დამახასიათებელ ამბებს, ტელეგრაფის საშვალებით გადმოცემულს. იმ ქალაქებში, სადაც მეხოვრებლების ნაწილს ებრალება შეადგენენ, დაუნდობლათ ანადგურებენ ამ ხალხს ხოლო იქ სადაც, ბნელი ძალების სვინდისთ, ებრალება არ არიან, გამანადგურებელი მოძრაობა პატრიოტ-ხულიგანებისა რევოლიუციონერების წინააღმდეგაა მიმართული... მარიუპოლში 21 ოქტომბიდან დაიწყო ებრალთა ქონების აწიოკება. „გაძარცვეს ებრალების მოშეტებული ნაწილი და მრავალი სახლი. მთავრობის მოხელეებმა ვითომდა მიიღეს საჭირო დონისძიებანი, მაგრამ მხოლოთ ხალხის დასანახავათ, თორემ ნამდვილათ სრულიად არაფერი არ იზრუნეს“ (დეპ.) რევოლიუციონურ მოძრაობით განთქმულ ივანოვო-ვოზნესენსკში „ებრალთა ჯალებ დაიწყო. მრავალი სახლი და მაღაზია ახრბებული და გაძარცულია. მოკლულნი და დაჭრილნიც არიან. ბრბო თეთრი ნიშნებით და ხელმწიფის სურათით, ქუჩებში დადის.“ (დეპ.)—კიევში საშინელთ ახრჩეს და აიკლეს ებრალები.—ოდესაში საზარელი სისხლის დვრა კამართეს ხულიგანებმა, ებრალები სულ მთლათ აწიოკეს. ჰეტერბურგში 24 ოქტომბერს ებრალების ასაკლებათ ემზადებოდენ. ხულიგანების წინააღმდეგ საბრძოლველ რაზმებს ადგენდენ. ნიკოლაევში აიკლეს და გაანადგურეს ებრალები. დონის როსტოვში ხულიგანებმა საშინელთ ახრჩეს ებრალი მეხოვრებნი. სურაჟში 20 და 21 ოქტომბერს ებრალები გაანადგურეს. კრონდეველში

რა დღე და დამის განმავლობაში არბევდა ებრაელების მაზაებსა და სახლებს. ელისავეტგრადში, ვლადიმირში, ბახმუტში ბ ებრაელები ააოხრეს. გროდნოში გაჯარეს მოწოდებანი, რომლითაც „ძმებსა და მართლ-მადიდებელ ამხანაგებს“ ებრაელების ასკლებით წვეევენ.

მოსკოვში 21 ოქტომბერს, დიმის 11 სათზე, როდესაც ხალხი თავისუფლებისათვის მებრძოლთა დასაფლავების შემდეგ უკან ბრუნდებოდა, ხულიგანებმა და კაზაკებმა თოფები დაუშინეს. მკვდა 6, დაიჭრა 20. 22 ოქტომბერს ხულიგანები მომავალ მუშებსა და სტუდენტებს თავს ესხმიან.—„ნოვგოროდის ხალხის სახედით ხელმწიფე იმპერატორს დეპეშა გაუგზავნეს; ქალების გიმნაზიაა მეორეთ გაანადგურეს.—რიაზანში ხულიგანები თავს დაესხენ კლუბის სადგომს, სადაც მიტინგი იყო გამართული, შენობას ცეცხლი წაუკიდეს. ხალხი და ორატორები დიდის გაჭირვებით გაუვასუფდენ. „ხულიგანებმა პატრიოტული მანიფესტაცია გამართეს და ებრაელების მადიანები თითქოს მთელთ დაარბიეს.“—მოსკოვში „პატრიოტები სააბუკრო სწავლებელს შემოეხვიენ და ჭკუა დაუშანეს“; სტუდენტებმა, რასაკვირველია თავის დაცვა მოინდომეს და ბრბოს თოფები დაუშინეს, მაგრამ თავის დაცვა მათ ბოროტ-მოქმედებათ ჩაუთვალეს და სასწავლებელს გარს შემოერტყა „კაზაკთა რაზმი და ქვეითი ჯარი. სტუდენტები მომწყვდეული არიან“...

ასეთი შინაარსისა დეპეშები რუსეთის თითქმის ყველა ქალაქებიდან. ზოგიერთ ადგილს პატრიოტ-ხულიგანების სიმხეცეს უმწვერვალეს წერტილამდე მიუხწევია. მაგალითად, ტომსკში მომხდარი საშინელება ყოველივე სიმხეცეს აღემატება და მისი წარმოდგენაც შეუძლებელია. ტომსკიდან მოსულ დეპეშას ჩვენ ცალკე ვებეჭდავთ ამ ნომერში.

ერთათ-ერთი კუთხე, სადაც სასიამოვნო და დამამშვიდებელი ამბები მოდის—ფინლანდიაა. აქ ერთი წვეთი სისხლიც არ დაღვრილა, მაგრამ, მიუხედავათ ამ გარემოებისა, რუსეთის ვერც ერთმა კუთხემ ვერ გამოიყენა ისე ეს პატარა თავისუფლება, როგორც ფინლანდიამ. ეს ამიტომ რომ აქ თვით ხალხმა ჩაიგდო ხელში მართვა-გამგეობის სადმე და ერთ წამში კაუქმა მთავრობის უველა დაწესებულება. როგორც დეპეშები გადმოგვცემენ თავ-ობა-დენსკი რეგოლიუციონერებმა ჩაიგდეს ხელში, და, თითონ შეუდგენ ქვეყნის მართვა-გამგეობას, მათ შეაკარადეს ხალხი, დაუყენეს თავისინთი ჯარის უფროსები და მოხელეები, და ამგვარათ, მთელი ძალა მათ მხარეზე გადვიდა. ობოდენსკი ჯავშნიანი გემით გამოაისტუმრეს და თითონ კი განსვლებული და მშვიდობიანი ცხოვრება დაიწყეს. მთავრობამ ყერკითარი რეპრესია ვერ იხმარა ფინლანდიის წინააღმდეგ და მანიფესტით „უბოძა“ ის, რც ხალხმა ფაქტიურათ მოიპოვა. ასეთია მოკლეთ რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა.

კომმუნისთვის დახოცილები

ა. არნუსი.

(თარგმანი)

ქუდი მოიხადეთ—კომმუნის წამებულებზე გელაპარაკებით!

რამდენი იყვნენ ისინი?—მათი დათვლა არვის ძალუძს!

ამაზე თქვენ შეეკითხეთ პარიზის ქვაფენილს, ლაბოს კაზარმების ყუმბარებს, ლიუქსემბურგის ბაღს, შამონის სიმაღლეებს შატლეს, პერ-ლაშეზის სამარეების გასისხლიანებულ ფილაქნებს, სასაფლაოებად გადაქცეულ მწვანე ბაღებს, სადაც ახალ მიწა მიყრილ საფლავებიდან ღამ-ღამობით მომაკვდავთა ხრიალი ისმოდა.

სისხლის ღვარი დიოდა. მდინარე სენა წითლათ შეღებილიყო. დახოცილთა გვამები ერთმანეთზე შეხორებული ეყარა ქუჩებში რამდენიმე ათასი ოთხკუთხედ საჭენის სივრცეზე. ვერსალის ზარბაზნების თვლები მთლათ გათიბულ-ტალახივით გამხმარი სისხლით და ადამიანის ტვინის ნაკუწებით. ხუთმეტ დღეს იყო განუკითხავი ქლეტა. პარიზი უზარმაზარ საყასბოთ გადაიქცა.

როცა ყოველივე გათავდა, დიდებულ ქალაქს აკლდა ასი ათასი მუშა.

მოკლული, ტყვეთ წაყვანილი, გაქცეული. ზოგიერთი ამქრებიდან ერთი კაციც აღარ გადარჩენილა. ამას ამოწმებს თვით მუნიციპალური საბჭო ერთ ოფიციალურ ანგარიშში.

ჰეშმარიტათ, ნადიმი იყო ეს საფრანგეთის ბურჟუაზიისა. ჩვენ დიდ გენერლებს დღესაც კი პირზე ნერწყვი მოსდით ერთ მის მოგონებაზე.

ტიერი—ეს საზიზღარი ჭონდრის კაცი, თითქოს გაყმაწვილდა, რა რომ ამ ხალხის სისხლით სავსე ვანაში იბანა.

არაფერი არ დაუზოგავთ კაპიტალისტთა ამ ორგიისათვის. საუცხოო ნადიმი იყო. ქლეტდენ დედაკაცებს, ახალ-გაზდებს და მოხუცებს, დედებს ბავშვებითურთ, ბავშვებს უპატრონოთ, და კიდევ ამაზე უფრო სასიამოვნო ის იყო, რომ ხოცდენ უიარაღოებს,—მოხუცთ, ავადმყოფთ, მომაკვდავთ, გოსპიტლებში ჭრილობა შეხვეულთ შტიკებზე აგებდენ და სარკმლებიდან სისხლის მორევში ისროდენ, როგორც ლეკვებს, რომლებიც წკავიან და ყმუიან.

დიახ, ეს საუცხოო რამ იყო!

და უმსგავსი ჟურნალისტები და ზნეგაფუჭებული ქალები დარბოდენ მკვდარი გვამების სანახავათ; იყო ასეთი შემთხვევებიც, რომ ტურფა ქალები ქოლგის წვერს ჩრიდენ ჯერ ისევ ცოცხალი ხალხის ღია ჭრილობებს.

ჟიულ ფავრს, ამ ყალბი ქადალდების ოსტატს, მილერის სისხლში მთლათ შეღებილს, განცვიფრებაში მოყავდა ქვეყანა თავისი თავის გააფთრებულ ჰკვიდან შეშლილის სანახაობით. მონარქიულმა ევროპამ, რომელმაც გაქცეულთა გაცემაზე უარი უთხრა, შეარცხვინა იგი.

მარკიზ გალიფე ჩეხდა მიტომ, რომ წამხდარი კაცი იყო.

—„ჩემს ქუჩაზე დღესასწაული დადგა“! ამბობდა ხოლმე ის.

მას ეგონა უსათუოთ, რომ ქმრის სიავკაცე დაჩრდილავს და დაავიწყებინებს ხალხს ცოლის გარყვნილებას, რომელიც ყოფილ იმპერატრიცა ევგენიას მეტოქე და პირის ფარეში იყო.

ვინუა, სიზი, მაკ-მაგონები და სხვანი იმპერიის გენერლები, უბრუნებდენ უიარაღო ხალხს თოფის სროლის სახით მიუჯლუგუნებს, რომელიც მათ ძლევა-მოსილ პრუსიიდან მიიღეს კეფაში, რადგანაც იგინი მათი სხეულის სხვა ნაწილს ვერა ხედავდენ და ამიტომ არც შეეძლოთ სხვა ადგილას გაერტყათ.

ალექსანდრე დიუმა—შვილი ზნეწამხდარ ქალების მომღერალი, დამცველი საკუთრების, ბურჟუაზიული ოჯახისა, იმ ოჯახის, რომელიც სიმრუშესა და საროსკიპო სახლზეა დამყარებული, აცხადებდა, რომ „კომმუნარის დედალი მხოლოთ მაშინ გავს ქალს, როცა იგი ყელ გამოჭრილიაო“.

ვრინიო, „საზოგადო სიკეთის“ მთავარი რედაქტორი დატიერის საყვარელი მეგობარი იკვეხიდა, რომ მან მოკლა საკუთარი ხელით ოცდა ათი ფედერალისტი, დატყვევებულთა ბორკილ შეყრილთა ან დაჭრილთა რიცხვიდან, რასაკვირველია.

ეროვნულმა კრებამ, რომელიც თითქო იწოდა მოუთმენლობისაგან, რომ რაც შეიძლება ჩქარა ამოსერილიყო ამ სისხლში, სამადლობელ ადრესს უგზავნიდა ვერსალის ჯარს და ერთხმათ, გარდა ერთი წევრისა, აცხადებდა, რომ ხალხის ჯალათები „სამშობლოს მხსნელნი არიანო“.

„Paris Journal“-ში 1871 წ. 5 ივლისს დაბეჭდილი იყო შემდეგი დიალოგი:

—„ბავშვებო, რა უფრო გენატრებათ სანახავათ: ნანგრევები თუ მოკლულთა გვამები?“.

—„ოჰ, ერთიც და მეორეც, დედილო, ერთიც და მეორეც!“

—„მაშ, აი რა ვქნათ, ჯერ მკვდრების სანახავათ წავიდეთ... მხოლოთ საუზმეზე კი—ბევრს ნურას გამოუდგებით“.

—„არა უშავს რა, დედილო, ჩვენ თითო ნაჭერ პურს თანაც ვიგულვებთ!“

—„ძალიან კარგი და თუ მეტათ არ დავიღალე, დესსერტის მაგიერ ცეცხ-წაკიდებულ შენობების საყურებლათ წავიდეთ“.

ბაშვებმა სიხარულით ტაში შემოკრეს.

რა საუცხოვო სურათია ბურჟუაზიისა, მისგანვე დახატული!

ოჰ, ქალებო! გვამები, რომლების სანახავათაც თქვენ მიხვალთ, ეს გვამებია იმ ხალხისა, რომლის შრომაცა ქმნის თქვენს ფუფუნებას და რომელიც ამოჟლიტეს იმისთვის, რომ მან ველარ შესძლო იმის მოთმენა, რომ მისი საკუთარი ქალიშვილები სიმშილის და პროსტიტუციის მსხვერპლნი უნდა გამხდარიყვენ, ან და თავისი თავი საკუთარი ხელით უნდა მოეკლათ.

* * *

მთელი ხალხი მომწყვდეული იყო თავისივე ქალაქის კედლებში. გამოსავალი არსაით ქონდა, რადგანაც კარებს მოკავშირეთა რაზმები—ვერსალელები და პრუსსიელები დარაჯობდენ.

და, აი, ამ ხალხს გამძვინვარებული რეაქცია უყვირის:

რაც უნდა ქნა—შენ მაინც დაღუპული ხარ! თუ შეგიპყრეს იარაღით ხელში, შენ მხოლოთ სიკვდილი მოგველის! თუ იარაღს დაყრი—მაინც სიკვდილი! თუ დაეცემი და ითხოვ შებრალებას—სიკვდილი! საითაც უნდა მიბრუნდე, საითაც უნდა გაიხედო, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ უკან, მაღლა, ძირს—სიკვდილი! შენ არამ თუ მარტო კანონის გარეშე ხარ, კაცობრიობის გარეშე ხარ, ვერც ხნოვანება, ვერც სქესი ვერ გიხსნის ვერც შენ და ვერც შენიანებს. შენ მოგკლავენ, მაგრამ უმალ შენ დასტკბები შენი ცოლის, დედის, ქალების, ვაჟების, ძუძუმწოვარ ბავშვების სიკვდილის ტანჯვა-ვაების სანახაობით.

სიკვდილი! სიკვდილი! სიკვდილი!

გუშინ პრუსიელს ეალერსებოდენ: ტყვეთ მყოფს მას კვებავდენ და ყოველგვარ ყურადღებას აძლევდენ; დაპრილს ნაზი მზრუნველობით ექიმობდენ და ესეც უნდა მოქცეულიყვნენ—ეს იყო ადამიანი, თუმცა ამ შემთხვევაში ის წარმოადგენდა მხოლოთ უდიერ ძალას, რომელიც დინასტიურ სიძულვილს და პატივისმოყვარეობას ემსახურებოდა. ქუდები ძირს ბისმარკის მიერ წასისინებულ მრისხანე ქოფაკის წინაშე. ჟიულ-ფავრი წავა ამ დიდი კაცის ფეხთ წინაშე ცრემლების საფრქვევათ. ტროშიუ და ტიერი ბედნიერნი იქნებიან, თუ მათ ელირსებათ ომის შემდეგ ხელი ჩამოართვან მას, რომელმაც გასრისა რევოლიუცია საფრანგეთში. შენ კი, საფრანგეთის მოქალაქევ, უფლებისა და სიმართლის დაცვისათვის ამდგარო, გუშინ გამათახსირებელ ომიდან პარიზის დამცველო, როცა ვილჰელმი ეპოტინებოდა იმპერატორის გვირგვინს, რომელიც ბონაპარტს სედანის ტალახში ჩაუვარდა, შენ, რომელსაც გსურს დაამყარო ხალხთა შორის ძმობა და მთელი ქვეყნის სოლიდარობა, შენ, რომელიც ოცნებობ საფრანგეთის და მთელი კაცობრიობის ბედნიერებაზე. შენ, რომელიც ფიქრობ დაამყარო შენი სამშობლოს სიდიადე ისეთ საფუძვლებზე, რომელთაც შეეძლოთ უზრუნველყონ მთელი მსოფლიოს ბედნიერება, შენ ხარ უკუგდებული, შენ ხარ ხანაზღარი!

შენთვის არ სუფევს სამართალი.

შენი ხელი იწვევს ზიზღს და თუ შენ გაუწვდიდი მას თანაგრძნობის სათხოვნელათ, წაგჭრიდენ და პირშიც მოგაფურთხებენ.

სიკვდილი შენ, აჯანყებულო! სიკვდილი შენ, სოციალისტო! სიკვდილი შენ კომმუნარო! სიკვდილი შენ, შენს ცოლს, შენს ბალღებს!

სიკვდილი! სიკვდილი! სიკვდილი!

მაგრამ ვინ იყვნენ ესენი, რომელთაც გაბატონებულ კლასების წითელ-კანიან წარმომადგენელნი ასეთ შეუფერებელ სიხარულის კიჟინით აკრავდენ სამარცხვინო ბოძებზე? ვინ იყვენ ისინი, რომელთაც ბურჟუაზია, თითქო ველურ კაცის მჭამელების მსგავსათ ხოცდა ისეთი გამხეცებით, რომლის მსგავსი დღემდის ჯერ არ მომხდარა.

მხოლოთ რამდენიმე სახელი მოჩანს ამ სისხლის ტალღების ზედა პირზე; მათ დევნის რეაქციონურ ვნებათა, ეგოისტურ ინსტინქტთა და შურის ძიების შიშის ქარიშხალი.

ჩავუკვირდეთ ამ ხალხს, რადგან მათი მეხებით შეიძლება ვსაჯოთ იმ დანარჩენ აუარებელ უსახელო ხალხზე, რომელიც ისტორიის შეკითხვაზე უპასუხებს;

„ჩემი სახელია—ხალხი!“

აი, პირველ ყოვლისა

დელეკლიუზი,

მოხუცი, გათეთრებული თავით, გამხდარი, ენერგიული სახით, და ამაყი გამომეტყველებით: მაგალითი პატიოსნებისა და უანგარობისა, იაკობინელი, თითქო კონვენტის დროის ხალხის მოდელზე გამოკვრიალი, რომლის უკანასკნელი, მაგრამ არა ნაკლებ მშვენიერი წარმომადგენელი იყო იგი ჩვენ დროს. იგი მთელ თავის სიცოცხლეში განუწყვეტლივ იბრძოდა მისთვის, რასაც იგი რაცხდა სიმართლეთ და ჰეშმარიტებათ.

ვერც დამარცხებამ, ვერც დევნამ—იმპერიის დროს ის კაიენნაში გაგზავნეს *)—ვერც ფიზიკურმა და ზნეობრივმა ტანჯვა-ვაებამ, ვერც ხნოვანებამ,—ვერაფერმა ვერ შეძლო მისი რწმენის და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულის შესუსტება.

რომ უკეთესი სამსახური გაეწია რევოლიუციისთვის, მან უარყო ოჯახური ცხოვრება, ცოლი არ შეირთო და ცხოვრებდა დედასთან და დასთან ერთათ.

მას არას დროს ჩვეულებათ არ ქონია არც ყოყმანი, არც დასუსტება და გასინჯეთ, რომ დალალვაც კი არა. იგი ცხოვრებდა და მოკვდა უშიშრათ და უებროთ.

მაგრამ განსაკუთრებით მშვენიერი იყო მისი ბოლო.

იგი გაგზავნეს ჯერ დეპუტატათ ბორდოში, შემდეგ კომმუნაში ამოარჩიეს და შეუდრეკლათ გამოცხადდა იქ, სადაც მას ხალხი იწვევდა.

მაშინ, როცა ის იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც გაჟღენთილი იყო ერთიანობის იდეებით, მთავრობის დიქტატურის აზრებით, ღრმათ წამდა სახელმწიფოს ძალა და სოციალურ კითხვებს ნაკლებ იცნობდა, მეტათ ჩქარა უნდა შეენიშნა მას, რომ საქმე, რომელსაც იგი თავს წირავდა—კო-

---

*) ე. ი. კატორგაში. მთარ.

მუნის საქმე—ძირიანათ ეწინააღმდეგებოდა ზოგიერთ მის ძვირფასს რწმენებს.

მაგრამ დელეკლიუზი თავის საკუთარ რწმენებზე მაღლა რევოლიუციას აყენებდა. ამ რკინის ადამიანში არ იყო იოტის ოდენა დოქტრინერობა იგი იყო ფანატიკოსი და არა დოლმატიკი. ის არ ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, რომელნიც რევოლიუციას ერთს ფორმულაში ათავსებენ და გაიძახიან: „ჩემ ეკლესიის გარეშე ხსნა არსად არის“!

აი რატომ იყო, რომ თუმც ის ჟურნ არ ემხრობოდა კომმუნარების ყველა მისწრაფებებს; თუმც ზოგიერთ ამ მისწრაფებათაგანი ან პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა იმ პოლიტიკურ რწმენებს, რომლებსაც დელეკლიუზმა მთელი სიცოცხლე შეწირა, ან არა და, ეს მისწრაფებანი საკითხების ახალი მხარეების გამოაშკარავებით ბადავდენ ეჭვსა და გაურკვევლობას მის თავში, რომელიც დაჩვეული იყო სულ სხვაგვარ წარმოდგენებს,—მარა მაინც სიმართლე უნდა ვთქვათ: მან ნათლათ შეიგნო კომმუნის პროგრამმა, იგი შეეთანხმა მას და მიიღო ყველა მისი დასკვნები მთელი მათის ძლიერებით.

მისი ორგანიული, შეზრდილი სიმპატიები არ იზიდავდენ მას კომმუნისაკენ, მაგრამ იქ იყო ხალხი და იქ იყო მისინებაც, და დელეკლიუზმაც სტოიკური სიმტკიცით მოიხარა ქედი მის წინაშე.

დელეკლიუზის გვერდით იმას ისევე დიდებული ერთი ადგილი უჭირავს, თუმცა სრულებით მისი მოწინააღმდეგეა.

ვარლენი.

შვილი ხალხისა და საკუთარ ფიქრების ადამიანი. ის დაიბადა 1839 წ. სენის და მარნის დეპარტამენტის ღარიბი გლეხის ოჯახში. მეცამეტე თუ მეთოთხმეტე წელს ის მივიდა პარიზში და აქ ერთ წიგნის ყდის დამკაზმელს შეგირდათ მიებარა.

მაშინ მან წერაკითხვაც არ იცოდა, მაგრამ მას ისეთი ენერგია ჰქონდა, რომ შესძლო თავის თავათ განვითარებულიყო, და რა წამს ქარხანაში თავისუფალ დროს ხელთ იგდებდა, სულ თავის გონებრივ განათლებას ანდომებდა.

დელეკლიუზი, კაცი ბურჟუაზიული ჩამომავლობისა, იაკობინურათ აღზრდილი, წარმოადგენდა ძველი რევოლიუციონერის ტიპს, რომელიც სოციალიზმს იმიტომ მიემხრო, რომ იგი გულწრფელათ ემსახურებოდა ხალხის საქმეს, სამართლიანობას.

ვარლენი კი, პირიქით—ახალი დროის რევოლიუციის განხორციელებაა. ის მთლათ მებრძოლ სოციალიზმს ეკუთვნის და მის წარმომადგენელთა შორის ვარლონის სახე მუდამ ბრწყინვალე კეთილშობილი, გულის ამაძგერებელი დარჩება.

იგი შეუდგა თავის რევოლიუციონურ მუშაობას, როგორც მოთავე წიგნის დამკაზმავ მუშათა საზოგადოებისა. შემდე მან დააფუძნა პირველი სოციალისტური სამზარეულოები პარიზში.

და ბოლოს, იგი შეიქნა ერთი უპირველესი წევრი, დაუღალავი აგიტატორი და საუკეთესო მოღვაწე ინტერნაციონალისა საფრანგეთში.

ეხლაც ახსოვთ მისი ამაყი და თამამი ყოფაქცევა, როცა ნაპელეონ მესამემ, რაკი დარწმუნდა, რომ მას არ ძალუძს არც მოხიბლვა და არც მოტყუება, არც ინტერნაციონალის ჩამოგდება, გადასწყვიტა მასთან ბრძოლა მის მოსასპობათ.

პირველად მე ვარლენი „მარსელიეზის“ რედაქციაში გავიცანი.

არას დროს არ დამავიწყდება მისი ჰაბუკი მშვენიერი სახე, რომელიც უკვე თეთრი თმით იყო დაფარული, ვერ დავივიწყებ მისი შავი თვალების ღრმა გამომეტყველებას, მის გულ ჩათხრობილ და სწორ ხმას და ღირსებით სავსე მის მიხვრა-მოხვრას.

მას არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი და არას დროს მოთმინებიდან არ გამოდიოდა. მასში შეერთებული იყო გმირის გრძელ-სულოვნება და მოაზრის მელანხოლია.

ვარლენის როლი კომმუნაში ყველასთვის ცნობილია.

ეს იქ ცოტას ლაპარაკობდა და ბევრს აკეთებდა, განსაკუთრებით ის ჟურდთან ერთათ ფინანსთა ადმინისტრაციაში მუშაობდა. მაგრამ შემდეგში ინტენდანტობაზე გადავიდა, სადაც მას საშუალებით შეეძლო მოეხმარა თავისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი.

ვერსალელები რომ პარიზში შევიდენ, იგი უკანასკნელ ღონის ძიებამდე გმირულად იბრძოდა, გათავებისას კი ის კომმუნის დამმარცხებლებმა ტყვეთ წაიყვანეს.

უკან ხელებგაკრულს, ტალახით, ფურთხით და სისხლით შე ღესილს იმას ორ საათზე მეტ მონმარტრის ქუჩაზე დაატარებდენ; გარს ეხვეოდა სულ-მდაბალი ბრბო, რომელიც მას მხეცურად სცემდა და ლანძღავდა,—ამით უნდოდათ მტრების დამატკბობელი სიმხეცით მისი სიკვდილის წინა მობედი აგონია გაეგრძელებინათ.

მაგრამ ხანგრძლივმა წამებამაც ვერ შესძლო მისი მედგარი ბუნების შერყევა.

მის სახეზე სრულებით არ იხატებოდა მოუთმენლობა, რისხვა, ან სისუსტე,—ის გაფითრებული და წყნარი, სიტყვა წარმოუთქმელათ, დინჯად, ავლებდა თვალს თავის ჯალათებს.

ბოლოს, როგორც იქნა, ტყვიებმა შეწყვიტეს მისი ტანჯვა-წამება.

ის იმდენათ დიადი იყო თავის უშიშრობით, რომ მისმა მტრებმა და ჯალათებმაც კი ვერ შესძლეს ეს უარეყოთ.

აი, ამდროის ერთი რეაქციონურ ჟურნალიდან მთელათ ამოღებული ამბავი მისი სიკვდილის შესახებ; „ლაფაიეტის ქუჩაში დატყვევებული ვარლენი, მონმარტრისკენ წაიყვანეს.

„ხალხის გროვა თანდათან უფრო და უფრო იზრდებოდა, ასე რომ დიდი გაჭირებით მონმარტრის სიმაღლეთა ძირს მიაღწიეს. აქ ტყვე წარუდგინეს რომელიღაც გენერალს, რომლის სახელიც მე აღარ მახსოვს. მორიგი ოფიცერი მიუახლოვდა მას, რაღაც ჩასჩურჩულა და მანაც პასუხად ეს სიტყვები წარმოსთქვა: „იქ, ამ კედელს უკან“.

„ამ ოთხი სიტყვის გარდა სხვა ვერაფერი გავარჩიე მათს ლაპარაკში და თუმცა მათს აზრში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა, მაგრამ მაინც მინდოდა მენახა ბოლომდის სიცოცხლის უკანასკნელი აქტი ერთ ამ საშინელ დრამის შემქნელთაგანისა. მაგრამ საზოგადოების შურისძიებამ სხვანაირად გადასწყვიტა.

„როდესაც გასამართლებული დანიშნულ ადგილზე მიიყვანეს, მოისმა ვიღაცას ხმა, რომელსაც მაშინვე სხვაც მრავალი აყვა: „ძლიერ ადრეა! კიდევ გავატაროთ ეგ!.

„სევდიანი პროცესსია ხელახლა დაიძრა, მივიდენ როზეს ქუჩაზე, მარა მასზე მოთავსებულმა მთავარმა შტაბმა პროტესტი განაცხადა დასჯის წინააღმდეგ“.

„ამ აუარებელი ბრბოს თანხლებით, რომელიც თითქმის ყოველ ნაბიჯზე უფრო და უფრო იზრდებოდა პროცესსიას ხელახლა მონმარტრისკენ დაბრუნება მოუხდა“.

„სურათი სულ მეტათ და მეტათ უბედურების მომასწავებელი ხდებოდა. ამ კაცმა, თუმცა თავიდანვე იცოდა რა ბედიც მოელოდა, მაგრამ ის ისეთის სითამამით და მედგარი ნაბიჯით მიდიოდა, რომ მნახველი უნებურათ იტანჯებოდა

ლა ამ ხანგრძლივი აგონიის დანახვაზე, მიუხედავათ იმ დანაშაულობათა, რომელნიც დასჯილმა ჩაიდინა.

„მაგრამ, აი, როგორც იქნა დასჯილი მიიყვანეს სასჯელის ადგილას. იგი კედელთან დააყენეს და სანამ აფიცერი ჯარის კაცთ სასროლათ დააყრობდა; ერთმა მათგანმა, რასაკვირველია, უცოდინარობისა გამო, ჩახმახი გამოსწია, მაგრამ თოფმა უმტყუნა. იმავ წამში იგრიალეს თოფებმა და ვარლენიც დაეცა.

„მაშინვე მიცვივდენ მასთან ჯარის კაცნი, რომელთაც კიდევ ცოცხალი ეგონათ და თოფის კონდახებით დაუწყეს უწყალოთ ცემა: „ხომ ხედავთ: მკვდარია, თავი დაანებეთ“! უთხრა აფიცერმა.

ასეთია მოთხრობა მტრისა, ერთი იმ გარეულ მხეცთაგანის, რომლებიც სიმხეცით დაეცნენ დამარცხებულ ხალხს და დასჯას ისე ესწრებოდენ, როგორც დღესასწაულს.

თუმცა ეს მოთხრობა განძრახ რბილათ არის გადმოცემული, მაინც ჯალათთა საზიზღარ სისასტიკეს და მათი მსხვერპლის გმირობას უკეთ გადმოვცემს, ვიდრე ეს მთელ ტომებათ დაწერილ წიგნებს შეეძლო.

ეს ცოცხალი სურათია, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია.

ასეთი იყო ვარლენის ბოლო, რომელმაც თავისუფლების და სიმართლის სამსახურში წამებით დააგვირგვინა თავისი სიცოცხლე.

ასე დიდხანს მიტომ შევჩერდი ამ ორს სურათზე, რომ ეს ორნი სრულათ ხატვენ კომმუნალისტურ მოძრაობის ორსავე მხარეს, და შეიძლება მათ პარიზის კომმუნის ორი კუთხე უწოდოთ.

დელეკლიუზი—ეს ბურჟუაზიული იაკობინელია, რომელმაც დაივიწყა თავისი ჩამომავლობა, აღზრდა, ინსტინქტები და კასტიური ტრადიციები, გახდა სოციალისტი, რომ ხალხს შეერთებოდა, და მასთან ერთათ წასულიყო სოციალურ თავისუფლების დასაპყრობათ.

ვარლენი,—ეს თვით ჰაბუკი ხალხია, რომელსაც აღუმართავს თავი, იპყრობს მეცნიერებას და გმირული გატაცებით მთლათ სოციალურ რევოლიუციას ხატავს. ის თავიდანვე მისი წარმომადგენელი, და მისი სისხლი და ხორცია.

პირველი ეუბნება კომმუნას: „შენ სიმართლე ხარ“.

მეორე აუწყებს გაკვირვებულ ქვეყანას: „ხალხი მზათაა“!

მაგრამ, ჩემს ხსოვნაში რამდენი სხვა სახელია შეკუნჭული, რომელნიც ასეთივე აპოთეოზის ღირსნი არიან; რამდენია კიდევ ისეთი პირები, რომელნიც განხორციელებაა ასეთივე ღრმა და ამაღლებულ აზრების, იმეორებდენ იმავე სიტყვებს, ამტკიცებდენ იმავ ჭეშმარიტებებს!.

კუპიდონი.

(დასასრული იქნება).

ეროვნული განხეთქილება და საერთაშორისო პროლეტარიატი.

ამ ორმოცდა ათი წლის წინეთ, ევროპის ერთპატარა კუნჭულში, პირველათ გაისმა შემდეგი სიტყვები: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!» იმათი რიცხვი, ვინც პირველათ გაიმეორეს ეს სიტყვები, ისე მცირე იყო, რომ სათვალავათაც არა ღირს. მაგრამ გაიარა ხანმა, და რას ვხედავთ: ეს სიტყვები ყველა მოწინავე ქვეყანაში მშრომელი ხალხის დიდი უმეტესობის ლოზუნგათ გადაიქცა. ისინი გაისმის მუშების მრავალრიცხოვან კრებებზე და მიტინგებზე; ამ სიტყვების წარწერით გამოდის უთვალავი წიგნები, ბროშიურები და დროგამოშვებითი გამოცემები თითქმის ყველა კულტურულ ენებზე. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ამ სიტყვებს მეტათ ღრმა მნიშვნელობა აქვს; რა თქმა უნდა, იმათთვის, ვინც იმათ იმეორებს. ამ ოთხ უბრალო სიტყვაში გამოხატულია მოკლეთ თანამედროვე მუშა ხალხის, პროლეტარიატის, მოძრაობა, მისი შეუწყვეტელი ბრძოლა თანამედროვე ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ. ამავე სიტყვებში ჩაქსოვილია კლასსობრივი ბრძოლის იდეა, ერთი მხრით, და ყველა ეროვნებათა პროლეტარიატის სოლიდარობა, მეორე მხრით. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით,—ეს იმას ნიშნავს, რომ პროლეტარები დღეს არათუ დაჩაგრული არიან გაბატონებულ კლასების მიერ, არამედ იმათი ძალა ჯერ კიდევ დაქაქსულია, იმათში ჯერ კიდევ არ განმტკიცებულა სოლიდარობა. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით,—როცა ჩვენ ამას გავიძახით, ეს კიდევ იმას მოასწავებს, რომ პროლეტარიატის იდეიის გამარჯვებისათვის, ე. ი. სოციალიზმის განსახორციელებლათ საჭიროა სოლიდარობა განმტკიცდეს არა მარტო ერთი ერის პროლეტარიატში, არამედ საჭიროა ყველა ეროვნებათა და ყველა ქვეყნის პროლეტარიატი შეერთდეს ერთი წითელი დროშის ქვეშ. მრავალი პირობები: —ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ისტორიული, სარწმუნოებრივი ხასიათისა ხშირათ ფარდას აფარებენ და ბურუსში ახვევენ კლასსობრივ ბრძოლას. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ ეს ფარდა და ეს ბურუსი გაფანტულ იქნას და კლასსობრივი ბრძოლა ყველგან, ყოველ ქვეყანაში, ყველა ერში, სინათლეზე იქნას გამოტანილი. რაც ადრე მოხდება ეს, მით უფრო დაჩქარდება პროლეტარიატის საბოლოო მიზანი—სოციალისტური წესწყობილების განხორციელება. ამიტომ ჩვენ მედგრათ უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარ ნაციონალისტურ პარტიებს, რომლებიც წინ აყენებენ «ჩვენი დიდებული წარსულის» ხსოვნას, რომლებიც ერთი ყოვლად უმნიშვნელო არქეოლოგიური წარწერისათვის მზათ არიან მტრობა და შუღლი ჩამოაგდონ ორ მოძმე ხალხს შორის, და ერთი ერის მუშები მეორე ერის მუშებს მიუსიონ. ბურჟუაზიული პარტიებისათვის ძლიერ ხელსაყრელია სხვადასხვა ერის მუშებში უთანხმოების ჩამოგდება.

თანამედროვე ეროვნული შუღლი და მტრობა პირდაპირ ბურჟუაზიული წარმოების ნაიადაგზეა აღმოცენებული. თუ დღეს სომხებსა და თათრებს შორის მტრობა და შუღლია დათესილი, თუ რუსებსა, სომხებსა და ქართველებში ეროვნული ბრძოლა ხდება, ეს მხოლოთ იმას ნიშნავს, რომ ერთი ერის ბურჟუაზია მეორე ერის ბურჟუაზიას ებრძვის. რა თქმა უნდა ამ ბრძოლას ბურჟუაზია საერთო ხასიათს აძლევს, მას ეს ბრძოლა ეროვნულ, მთელი ხალხის, ბრძოლათ გამოაქვს. აქ ბურჟუაზია ვითომც თავისი ერის მუშა ხალხის დამცველიც გამოდის, და ამიტომ კლასსობრივი წინააღმდეგობა, რომელიც შეადგენს თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძველს, იჩრდილება. რასაკვირველია ბოლოს მუშა ხალხი მაინც შეიგნებს თავის მდგომარეობას, გაიგებს, თუ როგორ მეგობრობას უწევდა მას ბურჟუაზია. იმ ქვეყნებში, სადაც პროლეტარიატი საერთოთ ძლიერს და შეგნებულ საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენს, ბურჟუაზიონალისტურ პარტიების ხრიკებს და ოინბაზობას გასაღები აღარ აქვს. ასეა ევროპის, ამერიკის და ავსტრალიის მოწინავე ქვეყნებში. იმ დროს, როცა გერმანიის და საფრანგეთის ბურჟუაზიული პარტიები ერთი ერთმანეთს გაჭრობას უქადიან, იმავე ქვეყნების პროლეტარიატი ერთი ერთმანეთს ძმობას და სოლიდარობას უცხადებს, და ეს მათ არა ერთხელ დაუ-

მტკიცებიათ მარტო სიტყვით კი არა, არამედ საქმითაც. იმ დროს, როცა რუსეთის და იაპონიის ჯარები, თავიანთ მთავრობების ბრძანებით, ერთი-ერთმანეთს ხოცავდენ და მუსრს ავლებდენ, რუსეთის და იაპონიის მუშათა პარტიები ყოველივე ზომას ხმარობდენ, რომ სისხლის ღვრა შეწყვეტილიყო და ორ მოძმე ხალხს შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდნილიყო. ამ ნაირათ, როგორც ზევითაც შევნიშნეთ, დიდებული სიტყვები: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით,— თანდათან ხორციელდება, ასე რომ პროლეტარიატის საერთაშორისო ორგანიზაცია ოცნება ან ფიქცია აღარ არის, ის უკვე ფაქტია. რამდენათაც იზრდება და ვითარდება ორგანიზაცია და სოლიდარობა თვითოეული ქვეყნის, ანუ სახელმწიფოს პროლეტარიატში, იმდენათვე წინ მიდის და ვითარდება ყველა ქვეყნის პროლეტარიატის საერთაშორისო ორგანიზაცია.

ყველა განათლებულ და კულტურულ ქვეყნის პროლეტარიატის დიდი ნაწილი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციაში შედის; ეს ორგანიზაცია კი ამავე დროს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. მხოლოთ აზიის და აფრიკის ქვეყნები (იაპონიის გარდა, რასაკვირველია), იმყოფებიან დღეს ამ დიდებული ორგანიზაციის გარეშე. უზარმაზარი ჩინეთის, სპარსეთის, ოსმალეთის და აფრიკის მუშა ხალხი წარმოადგენს დღეს სრულებით დაქსაქსულ და დაფანტულ მასასა, რომელსაც არ აერთებს არავითარი ორგანიზაცია, რომელიც ადგილობრივ გაბატონებულ კლასების სრულ მონობაში იმყოფება და რომელსაც უზომოთ ყულფენ არა მარტო ადგილობრივი გაბატონებული კლასები, არამედ ევროპის და ამერიკის ბურჟუაზია. რა მიზეზია, რომ დასახელებულ ქვეყნებში მშრომელ ხალხს ძინავს, და მასში ვერავითარი ორგანიზაცია გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ საბრძოლველათ ფეხს ვერ იკიდებს? ნუთუ კლასობრივ ბრძოლას იქ ადგილი არა აქვს? ნუთუ მარქსის სიტყვებს: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით. მარტო ევროპის, ამერიკის და ავსტრალიის მუშა ხალხისთვის აქვს მნიშვნელობა და ეს ლოზუნგი არ გამოდგება ზევით დასახელებულ ქვეყნების მუშა ხალხის შესაერთებლათ? ყველა ეს კითხვები მეტათ სერიოზულია და იმათ გამოსარკვევათ ყველა ადგილობრივ პირობების შესწავლაა საჭირო. მაგრამ ჩვენ ახლავე გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კლასობრივი ბრძოლა არსებობს ყოველგან, სადაც კი საზოგადოება კლასებათ არის დაყოფილი, სადაც კი არსებობენ მჩაგვრელნი და ჩაგრულნი, მყვლეფელები და გაყვლეფილნი, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ზოგან ეს ბრძოლა შეუგნებლათ წარმოებს და ზოგან კი შეგნებულათ. აზიის და აფრიკის ქვეყნებ, ევროპის იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც ეს კლასობრივი ბრძოლა, კლასობრივი წინააღმდეგობა შეუგნებლათ წარმოებს, კლასობრივი წინააღმდეგობის, კლასობრივი ბრძოლის შეგნებისათვის საჭიროა განსაზღვრული ნივთიერი პირობები. შეგნებას ქმნის მდგომარეობა, და არა პირიქით. მხოლოთ ნივთიერი წარმოების განსაზღვრული ფორმა იწვევს ამ შეგნებას მუშა ხალხში. და აი სწორეთ დასახელებულ ქვეყნებში დღემდის ფეხი ვერ მოიკიდა თანამედროვე კაპიტალისტურმა წარმოებამ! იქ ადგილობრივ წარმოების ჯერ კიდევ უმთავრესათ ნატურალური ხასიათი აქვს. მხოლოთ გარედან შეტანილი საქონელი ასუსტებს მას და უმზადებს ნიადაგს თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებას. ამიტომ ახლო მომავალში, ეჭვი არ არის, ამ ქვეყნებშიაც დამყარდება თანამედროვე კაპიტალიზმი და ადგილობრივი მშრომელი ხალხის შესაერთებლათ შექმნის საჭირო პირობებს. თუ რამე შეუძლია აღმოსავლეთის ხალხთა გამოფხიზლება, იმათი ფანატკური მიდრეკილებებიდან განთავისუფლება, გახრწნილი და დაობებული დესპოტიურ მთავრობათა მოსპობა, ერთი სიტყვით, კულტურული ცხოვრების აღორძინება, ეს მხოლოთ სოციალისტურ მოძრაობას შეუძლია. სოციალიზმი უარყოფს ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას, იგი თავისუფლებას ადამიანის გონებას ყოველგვარ შემცდარ და ყალბ შეხედულებისაგან, რომლითაც იგი შებოჭვილია. და აი მაშინ აღმოსავლეთის მუშა ხალხიც ააფრიალებს წითელ დროშას და საერთაშორისო პროლეტარიატს შეუერთდება. მხოლოთ მაშინ მიეცემა დასასრული იმ მტრობას და შუღლს, იმ განხეთქილებას და ქიშპობას, რომელიც დღეს სხვადასხვა ერთა შორის არსებობს და დიადი სოციალური კითხვის გადაწყვეტას აფერხებს.

რომ ზემო ნათქვამი ოცნება არ არის, ამას სხვათა შორის ხმამაღლა ღაღადებს თფილისში 18—23 ოქტომბრის რიცხვებში მომხდარი მრავალრიცხოვანი სახალხო მიტინგები. აქ სოციალ-დემოკრატიულ წითელ დროშის ქვეშ თავი მოიყარა არა მარტო რუსის, სომხის და ქართველ პროლეტარიატმა, არამედ მას სოლიდარობა გამოუცხადეს ადგილობრივ სპარსელმა და თათრის მუშებმა და მის წითელ დროშებს რამდენიმე თავისი წითელი დროშები სპარსულ და თათრულ წარწერებით მიუმატეს. ეს მეტათ საგულისხმიერო და საყურადღებო მოვლენაა. რა თქმა უნდა, ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ადგილობრივ სპარსელ და თათრებ მუშებში პროლეტარული სოლიდარობის და ერთობის იდეა ჯერ სრულებით არ არსებობს. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ ეს სოლიდარობა იქ შეუძლებელია. პირიქით, ჩვენ გვწამს თათრულ და სპარსულ ენაზე წითელი დროშების საჯაროთ აფრიალება, ეს იმას მოასწავებს, რომ პირველი ზღუდეები, რომლებიც პროლეტარიატის სოლიდარობას ხელს უშლიდენ, უკვე დანგრეულა. დღეს ჩვენში უკვე ჩაყრილია ძმობა-ერთობის და სოლიდარობის საღი თესლი. იგი ახლო მომავალში აღმოცენდება და გაიშლება. თავისუფლების, სიმართლის და ჰეშმარიტების იდეების გავრცელებას ვერ შეაჩერებს ვერავითარი გარეგანი ფიზიკური ძალა. ამ იდეების განხორციელებას ემსახურება თანამედროვე პროლეტარიატი. მაშ გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატს! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფარი.

22 ოქტომბერს მომხდარი სისხლის ღვრა.

21 ოქტომბერს თფილისის ქუჩებზე გამოვიდენ ცხოვრების ნაძირალნი და ქრისტეს-მოყვარე მხედრობის წარმომადგენლებით მხარ დამშვენებულებმა ხატებით და ხელმწიფის სურათით აწყეს ქუჩა-ქუჩა სიარული. ქალაქს თავიზარი დასცა ამ რაზმების სეირნობამ. ვეღურმა ჯიქინამ და ნაციონალური ჭიმნის სიმღერამ გადაურუა მთელი თფილისი. ქუჩაზე გამოსვლა შეუძლებელი შეიქნა, რადგან ,,პატრიოტები'' უმოწყალოთ ცემდენ და შეურაცხყოფას აუნებდენ გამვლელ-გამომვლელთ.

ყაზახების, დრაგუნების და ქვეითა ჯარის კაცების მფარველობის ქვეშ ვეღურ სიხარულს ეძლეოდენ ეს „პატრიოტები". ამბობდენ, რომ ამ მანიფესტანტთა უმეტესობა გადატმული ბოლტელნი, შეეზოვნი და ახალ გაწვეული სათადარიგო ჯარის კაცები იყვნენო. ჩქარა ჭაერში სისხლის სუნი დადგა და მალე თფილისის ქუჩებზე მართლაც დაინთხა უდანაშაულო სისხლის ღვარი.

22-მა ოქტომბერმა, ამ სისხლით შეღებილმა დღემ, დაგვიწყა 29 აგვისტო. ყოველ შეუწყნარებლათ, უმიზეზოთ, და მხეცურათ ამოხოცეს სრულიად უდანაშაულო ხალხი. მრავალი ოჯახი დაობდეს და ათასრეს. მრავალი კაცი გაანადგურეს და გადატყეს.

დღეს ეს ამბავი ყოველმა თოფოლისელმა იცის. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ამბის გამომწვევი მიზეზი ყველასათვის აშკარა არ არის. არ არის აშკარა, რადგან საზოგადოებაში უამბი ხმები ტრიალებს, უამბი და ურცხვი ადამიანების მიერ გავრცელებული, უამბი გაზეთის საშვალებით გასაღებული. გაზ. „კავკაზი“—ეს კრებული ოფიციალურის და, მაშასადამე, ყოველად უსიფუძვლო და წეშმარიტებას მოკლებულ ცნობებისა ცინიკური გამბედაობით ასწერს 22 ოქტომბერს. „ბატრიოტთა“ ბრძო თურმე 25000 კაცისაგან შესდგებოდა, სროლა და ხალხის ყოლეტა უცილებელი იყო, რადგან თურმე მანიფესტანტებს სეტყვასავით დაუშინეს ტყვია და ყუმბარები და სხვ.

ასეთია გაზეთი „კავკაზის“ ცნობა. ახლა ვნახოთ, თუ როგორ გადმოგვცემს ამ უბედურების ამბავს ბ-ნი ე. ი. იოსელიანი, რომელიც თითონ ყოფილა მოწმე ამ საზარელი სანახაობისა. აი მისი ნაღაპარაკევი სიტყვა-სიტყვით:

«ამ დროს, როდესაც ბატრიოტულ ბარტიის ბროცესია მოდიოდა, მე მიწათ-მოქმედების ინსპექტორს ვასილიევთან და ამის ნაცნობთან ერთათ ვიდექი ალექსანდრეს ბაღის წინ, «დიდების ტაძრის» გვერდით, და თვალ-ყურს ვადევნებდი დიდის ამბით მომავალ ბატრიოტებს, ბ-ნმა ვასილიევმა რამდენჯერმე სთქვა: «წავიდეთ, თორემ აქ კარგი არა მოხდება-რაო». მართლაც ტოტა ხანს შემდეგ იგი თავის თანხობით წავიდა. კოდოვინის ბროსპექტზე არავინ იყო, გარდა მომავალ ბროცესიისა. თუმცა ქვაფენილზე შენიშნავდით მოსიარულ ხალხს, მაგრამ არც ქვაფენილიდან და არც სახლიდან არავის მანიფესტანტებისათვის არც სიტყვით და არც სქმით შეურაცხება არ მიუყენებია. მანიფესტაციაში იქნებოდა სულ 1000 კაცზე ცოტა მეტი. წინ მანიფესტანტებს მიუძღოდნენ დრაგუნთა პოლკის ცხენოსანნი. როცა ბროცესია ბირველ გიმნაზიას მიუახლოვდა, ორ წუთით დაუენებულმა ქვეითა ჯარმა გზა მიცა დრაგუნებს, რომელთაც ბაირაღებითა და ხატებით რამდენიმე კაცი მიდევდა და შემდეგ ბატრიოტთა დასი მიდიოდა. «სობრანიეს» ბირდაბირ, გიმნაზიის ეზოს ჭიშკრის კარებში იდგენ გიმნაზიელები და რამდენიმე კარეშე კაცი. რამდენიმე კაცი გამოვიდა ბროცესიიდან და იქ მდგომთ მიეარდა. რა უთხრეს ვერ გავიგონე, მაგრამ კარგათ ვნახე, რომ მანიფესტანტებმა გიმნაზიელებსა და იქ მდგომთ მუშტები დაუშინეს. ამავე დროს ბროცესია უკვე გაეთანასწორდა «დიდების ტაძარს» და ქუჩა ბატრიოტებით აივსო. ერთმა ბატრიოტმა, რუს ბალტოში გამოწყობილმა ამოიღო რევოლვერი და გაისროლა იმ კუთხისაკენ, სადაც ბატრიოტები გიმნაზიელებს დაეცნენ. წინ მდგომმა ქვეითა ჯარმა გაიგონა თუ არა რევოლვერის ხმა, უფრო ათეცრის უბრძანებლად ასტეხა თოფის სროლა. ბირველათ დაიკრენ და მკვდრები დაეცნენ თვით მანიფესტანტები, რადგან ისინი წინ უდგენ ჯარს და სიმრავლით სრულიათ ფარავდენ შეტაკების ადგილს. ამ დროს გაჩნდა ერთი ახალ-გაზდა იუნკერი, რომელმაც დაუწყო „კამანდობა“ სალდათებს და „ურას“ ძახილით თოფებს ასროლინებდა. აქვე მოვიდა სამი ხანში შესული კაცი (მასწავლებელი უნდა ყოფილიყვენ) და ესენიც უჩვენებდენ ჯარს, სათ უნდა ეხროლათ თოფები. უფროსმა ათეცრმა სალდათები გვერდ შეიკეთა: ბევრს ეძახდა: «გეყოფათ, რა მოგეჩვენათ, აქ საშიში არაფერიაო», მაგრამ ვერა გააწყო-რა, არც «სობრანიიდან», არც დისტოკის» რედაქციიდან და არც სხვა სახლებიდან ერთი ტყვიაც არ გავარდნილა, მართლა რომ ვისმეს უყუმბარები გადმოეგდო, როგორ გამომეპარებოდა, როცა ჩემს თვალწინ, როგორც ხელის გულზე უველაფერს ვხედავდი, ამას გარდა მთელი ქუჩა მანიფესტანტებით იყო სავსე და ერთი ყუმბარაც კი ასამდე კაცს მოკლავდა, სამი ხომ მუსრს გაავლებდა. ყოველივე ის, რასაც ამბობენ, სიცრუეა, მით უმეტეს, რომ კვლიც კი არა სჩანს იმისი, რაც დაუწერიათ. რაკი ათეცრმა ვერა გააწყო-რა, მუქარით მივარდა იმ სამს კაცს, რომელნიც სალდათებს აქეზებდენ. ამ დროს ბაღის კარები გაიღეს და მეც სხვებთან ერთათ თავი მოვარიდე ხიფათს. ჯარიც ბაღში ჩავიდა. აქ თოფებს ბატრონებით სტენავდენ და შემდეგ იერიშით გადიოდენ და გაქონდა ტყვიას ტკეცა-ტკეცა. «სობრანიესა», „დისტოკისა“ და სხვა შენობათა კედელ-ფარჭვებზე ამ დროს გაჩნდა სხვა ქვეითა და ცხენოსანი ჯარი და ბრძოლა-ხმალდება დატრიალდა. ძლიერი სროლა ასტეხეს გიმნაზიისა და სობრანიისაკენ. ბაღში, «დიდების ტაძრის» კედელთან, გულზე ხელ-კრეფილი და ატუზული ვნახე საბჭოს ხმოსანი სოსანი. როცა შევეკითხე, რა მოგვიდა შეთქი, მიპასუხა—ქვა მომარტეს. ტოტა ხანს მოვბრუნდი და სოსანი სადღაც მიიმალა. ადიუტანტი თამამი და ორი სხვა ათეცერი, რომელთა ახლოს მე ვიდექი, შეწუხებულნი შეეჭქროდენ ამ საშინელ ბრძოლას და ვერაფერს აწყობდენ. მრავალი მოკლული და დაჭრილი გმინავდა ქუჩაში, მანიფესტანტები კი ამ დროს სასახლის წინ იდგენ და «ბოჟე ცარია»-ს მღეროდენ და ურას გაკიოდენ. როგორც იქმნა, სკომენდანტო სამართველომდე მივაღწიე. აქ უფრო მოვკარ ლაპარაკს. ამბობდენ ზარბაზნების გამოტანასა და ზემოდ აღნიშნულ ხახლების განადგურებაზე. სახლისაკენ გავეშურე და რა მოხდა შემდეგ, აღარ ვიცი»—დაამთავრა ბ-ნმა იოსელიანმა.

ასევე გადმოგვცა ნახული ბ-ნთა ი. დ. აბაზაძემ და ს. ქ. ხოშტარიამ. ესენი მდებარან სწორეთ იმ ადგილას, სადაც ბატრიოტები შუტეშბიათ და ჯოხებით დარეგიან გიმნაზიის მოსწავლეებს. „როგორც კი ბროცესია მოვიდა გიმნაზიასთან, თქვა აბაზაძემ, რამდენიმე კაცი მოგვვარდა და დაგვიწყო შეუბრალებლათ ცემა. გიმნაზიელები შეცვივდენ ეზოში. მოსამსახურემ მოასწრო კარების ჩაკეტვა. დავრჩით კარში 11 კაცი: მე, ხოშტარია, ცაგარელი, მისი მეუღლე, გიმნაზიელი სოფაროვი, 2 სხვა გიმნაზიელი, ერთი გენერლის ცოლი, გიმნაზიის კანცელარიის საქმის მწარმოებელი, აღმზრდელი გიმნაზიისა და მისი ცოლი. საშინელი თავზარი დაგვეცა, რადგან არათერით არ შეგვეძლო თავი დაგვეფარა. მოგვდევდენ ბატრიოტები და ცემა დაგვიწყეს. გიმნაზიის აღმზრდელის რჩევით, ყველანი გავემართეთ მის ბინისკენ დასასმალავათ, მაგრამ აქ უფრო საშიშ მდგომარეობაში ჩავცვივდით, რადგან ამ დროს სროლა ასტეხეს. ბევრნი იატაკზე დავწექით, რადგან ტყვიის შიში იყო. ტყვია სეტყვასავით ხვდებოდა ფანჯრებს, ამსხვრევდა და ჩვენს თავებზე ზუზუნით გადადიოდა. საშინელი ხმაურობა და დრიალი იყო. იძახდენ „ურას“. შემდეგ ცოტა ხანს მეუდროება ჩამოვარდა, მაგრამ მალე უფრო დიდ განსაცდელში ჩავვარდით. 10 შეიარაღებული ყაზახი თოფის სროლით ჩვენსკენ გამოემართა. ოთხი კარიდორში დარჩა, ხოლო ექვსი შიგ შემოდიოდა. ერთი ბირველათ შემოვიდა და გვითხრა: «ადრეთ ოქვენი სულისთვის! ამ სახლში გიმნაზიის განადგურებას შეუდგებიანო». სხვანი ამ უკანასკნელ ოთხეს მოდერებულნი ეუბნებოდენ, ჩამოგვეცალეთ, ამ დროს ვიდეც ათეცერი გაჩნდა და გასაჩხრეკათ სავამშდანტოში წაგვიყვანა. ასე გადავრჩით». „ნ. ფ.“.

ამ სიტყვებს განმარტება აღარ ესაჭიროება: მკითხველი, თუ მას აქამდი კიდევ ეჭვი ქონდა, ახლა მაინც თითონ დარწმუნდება, თუ ვინ იყო ამ უბედურების გამომწვევი, თუ ვინ მოამზადა და სისრულეში მოიყვანა თავისი ველური განზრახვა. წეკლათ და კრულვით მოიხსენიებს მათ მომავალი!

ტომსკის „პატრიოტები“.

20 ოქტომბერს დილის 8 საათიდან მოედანზე თავი მოიყარა ვაჭარმა და მუშა ხალხმა. ბრძო უკმაყოფილებას უცხადებდა გაფიცულებს, რომლებიც მშვიდობიან მუშაობას ხელს უშლიან. ბრძო ამბობდა: „ჩვენ არ გვინდა ახალი კანონები, ჩვენ წინაპართ მეფე ჰყავდათ და ჩვენც უმეფოთ ცხოვრება არ გვსურს და არც ვიცხოვრებთო.“ გამოჩნდა ნაციონალური დროშები: ბრძო პოლიციიდან ხელმწიფის სურათს ითხოვდა. ხელმწიფის ორ სურათს ბრძო აღტაცებული „ურას“ ძახილით მიეგება. მანიფესტანტები სობოროს მოედნისკენ გაემართენ. გზაში ბრძოს უერთდებოდენ. ვინც სურათის წინ ქუდს არ იხდიდა, მანიფესტანტები სცემდნენ. ეპისკოპოსის სახლს წინ მანიფესტანტები შეჩერდენ და მოითხოვეს სამადლობელი პარაკლისის გადახდა. ამ დროს თეატრში დაიწყო მატინე, რომელზედაც სამი ათასზე მეტ ხალხს მოეყარა თავი. როცა შეტყვეს, მოედნიდან მანიფესტანტები ძოდიანო, ხალხის ერთი ნაწილი მათ შესახვედრათ წავიდა და ბრძოს სროლა აუტეხა. მანიფესტანტებმა ჯერ უკან დაიხიეს, მარა მალე შემოერტყენ ხლს და საშინელება დატრიალდა. მანიფესტანტები უმოწყალოთ აწამებდენ ხალხს, ხალხი ცდილობდა რამენაირათ დამალულიყო. ეკლესია კაცი და ბევრი ბავშები შეცვივდენ თეატრში და რკინის გზათა სამმართველოს შენობაში. მანიფესტანტები გარს შემოერტყენ ამ შენობებს და ცდილობდენ დამალულების

გარეთ გამორეკას. შენობიდან რევოლვერები დაუშინეს მანიფესტანტებს. პოლიცია და ჯარი არსად ჩნდა. სანამ მანიფესტანტები მოწინააღმდეგეებს ანადგურებდენ, ქაზარმებში სალდათებს რაზმებათ აწყობდენ და პატრონებს ურიგებდენ. ბოლოს ქაზაკთა ასეული და ერთი როტა სალდათები მოვიდნენ და შენობებს შახოერტყენ. მანიფესტანტები მაინც არ ცხრებოდენ. ამტვრევდენ ფანჯრებს, ედიოდენ შენობაში და ბოლოს რამდენიმე ადგილას ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. ორივე შენობა ცეცხლის ზღვათ გადაიქცა. ამ ცეცხლში იწოდა შიგ მომწყვდეული ხალხი და ამ სურათს უცქეროდა ჯარი და ქალაქის მცხოვრებლები. ცეცხლი რომ ერთი სართულიდან მეორეზე გადიოდა, დაწყვდეულები ადიოდენ სულ მაღლა და მაღლა, გადიოდენ სახურავზე და იქიდან ისროდენ. ბევრი ფანჯრებიდან ხტებოდა, ებღაუჭებოდენ კიდეებს, მაგრამ მანიფესტანტებს ვერც ერთი ვერ გადურჩა. ცეცხლის მქრობი რაზმი ბრბომ შენობებთან არ მიუშვა. მანიფესტანტები უმოწყალოთ სწვავდენ, როგორც ხალხს, ისე შენობას, რომელიც იმათ ყველა გაფიცვების ბუდეთ მიაჩნდათ. ღამის თერთმეტ საათზე ჩამოინგრა სახურავები და კერი. მაშინ მანიფესტანტებმა მიუშვეს ცეცხლის მქრობი რაზმი, თითონ კი დილას დაიშალენ და თავ-თავის სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. ყველაფერი დამწვარია. (დეპეშა).

კორესპონდენციები.

დაბა სოჭა. სოჭა და მისი ახლო-მახლო ადგილები—ეს სულ ბიუროკრატიის საკვირაო სავსენა. ამ ბუნებით დაჯილდოებულ ქვეყანაში სადაც-კი გაივლით შავი ზღვის პირას ყოველ ფეხას გადადგმაზე თვალ წინ გიხვდებათ საუცხოოთ გაშენებული პარკები და ბაღები და უზარმაზარი სასახლეები ეტყობა. არაფერი არ დაუზოგავთ, რომ მთელი ეს მიდამო სამოთხისთვის დაემსგავსებიათ. მაგრამ მე მოგახსენებთ არა იმ სამოთხეზე, რომელსაც ჩვენი სულიერი მამები გვიქადაგებენ, არამედ საქოთხე. ვინ არის ყოველივე ამის მფლობელი და ბატონ პატრონი? ვინ დაისაკუთრა ყოველივე ის, რაც წინეთ სჩერქეზ ხალხს ეკუთვნოდა? როდის რუსეთის მთავრობამ სჩერქეზი მოსპო და გასდგურა და სხვის სარჩო-საბანებელს თითონ დაეპატრონა. ვის ასრგებდა იგი? ვის დაუდგა წილი ხალხის სისხლით მორწყულ მიწა-ადგილებში? ეს ვის: მთელი ეს შავი ზღვის განაპირა ადგილები ასი და ათი ათასი დესიატინობით დაურიგეს ბიუროკრატიის სხვილ მოხელეებს: მინისტრ-ჩინოვნიკებს, ბერებს და ბურჟუა-კაპიტალისტებს. დღეს იმ ადგილებში, რომლებიც მუქთათ მიისაკუთრეს ხელდიდ-ბარონოვნებმა გაიჩინეს მეიჯარადრენი, რომლებიც სულს წყდიან მუშა ხალხს. დესეტინაზე ათი მანათიდან 30 — 50 მანეთამდე ახდუვინებდნენ და ასე და ამ რიგათ გაუკეთხვათ ატყვებენ ისედაც გაღატაკებულ ხალხს. ერთ დღეს ვეღაპარაკე რამდენიმე რუსის გლეხობა, რომლებმაც თავიანთი წერ-კითხვა მიამბეს და ეს მათი ნაამბობი სიტყვა-სიტყვით. ერთმა თქვა: გადმოგვასახლეს აქ იმიტომ, რომ აქაურ ბატონებს უმეტი უოლოდათო. მეორემ მითხრა: ჩემი ქონება რუსეთში 500 მანეთის ღირებული ორასს მან გვყიდა, მომატუეიდეს და აქ დავსახლდი; მითხრეს, რომ აქ გაუჭირვებელით იცხოვრებო; ათი წელია აქ ვცხოვრობ ნაღირების მეზობლით, თუ რამ გვჭონდა ორ-სამ წელში გამოგვეღია, და მას შემდეგ გმუშაობ ეს ამ კირკით, ძმაო, ხან ამ გზაზე და ხან იმ გზაზე, როგორც კატორგის მუშა. გმუშაობ კათენებიდან დაღამებამდე, გვკეთებ სამი მანეთისას და მაძლევენ სამ აბაზს ქირას. მესამემ შემომჩივლა: ჩვენ და ჩვენსავე კანმოსახლებულები, რომ ვართ, ესენი მდიდრებისა და მემამულეებისთვის აუცილებელი საჭირო იყვენ. მათთვის, ჩვენი ცოლები და ქალები მოსამსახურეებად და კუხარკებად და მაშა კაცები ბაღებში სამუშაოდ ვართ არც ბატონ-უმობის დროს იქნებოდენ. ჩვენი მამები ასე შეწუხებულიო. შემდეგ. შეკეთხე მათ თუ რა ხარი დამოკიდებულება და თვისება გაქვთ მეზობელ ქართველებთან მეთქი. მათ ასე მიპასუხეს: ჩვენ და ქართველების სამეზობლო საქმეში კარგი განწყობილება გვაქვს. ჩვენი პასპორტნელი მეზობლები (პასპორტნელ აქ დეწჩემებით დასახლებული სოფელია 120 კომლამდე. სულ 500 სული) ყოველთვინ რაზედაც მოგვსულვართ ხელი გაგვიწევია სამეზობლო საქმეში, მხოლოთ ეს ვერ გაგვიგია ამ ბოლო დროს ხმა დადის, რომ ქართველები აქ რუსებს არ აუნებებიო და სხვა. მე მათ აუხსენი, რომ ეს მცდარი ტეხვიდია, ეს ისეთი კაცის მოგონილია, რომ ის, ქართველი და რუსის მუშა მშრომელი ხალხის ერთ ხარი მტერია მეთქი. ერთმა ამის შესახებ მიპასუხა, რომ მას სოჭაში უთხრა ერთმა ურიადნიკმა. ეს რამდენიმე თვეა, ახალმა სიომ აქაც დაბერა, აქაც ნაპერწკალი დვებნება რუსეთის მშრომელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობისა თუ ამდენხან ყური მოგვრილ მათთ გრძნობდენ ამ ნაპერწკალს, ეხლა უფრო სიფხიზლე ეტეობათ და იაფასებენ ამ გრძნობებს და ადამიანურ ცხოვრებას თხოულობენ. აქაც ხდება სურათი ხალხის კრებები თავიანთ წერილებზე მოსაფიქრებლად. ყოველგან ეფიცებიან ერთმანეთს, რომ არ უღალატონ საერთო საქმეში, და უთვალთვე უთანხმდება სამუშაობდით გაიხარონ და არავინ მთავრობის სასამართლოებს არ მიმართოს. ფიცი მისცეს ერთმანეთს, რომ მოსპონ ქურდობა და ავკაცობა. ასე და ამრიგათ აქაც ხალხის ცხოვრებაში შედის თვით ცხოვრება-შეგნება. რუსის გლეხებს და მათ შორის სოლიდარობა მტკიცდება და მიიღტვის ძმობა-ერთობა თანასწორობისაკენ.

ვინმე ჯანდაბაძე.

გორი. დაუჯერებელი და შემაძრწუნებელი ამბები ხდება დღეს გორში. მას შემდეგ, რაც აქ პოლკოვნიკი ალფტახი დანიშნეს და მაზრის უფროსობა ბან გოგოხიას ჩაბარეს დღე არ გასულა, რომ შვიდ რვა კაცს ციხეში თავი არ უკრან. მაყავთ და მიყავთ თოფიან ჯარებს საწყალი გლეხ-კაცობა და მუშა ხალხი! მარტო ერთი თვის (სექტემბრის) განმავლობაში, სულ რომ ცოტა, სამასი კაცი (ზოგი გორელი ხელოსნები, უფრო კი ახლო-მახლო სოფლების გლეხები) ჩასვეს აქაურ ციხეში, საიდანაც, უდგილობის გამო, დრო გამოშვებით პარტიობით გზავნიან თბილისის მეტეხის ციხეში! შემდეგ ამ ტყვეებს მეტეხის ციხიდან საქმის გაურკვევლათ რუსეთის ციგ გუბერნიებში აგზავნიან ადმინისტრატიული წესით. 22 სექტემბერს, დილის 11 საათზე ქალაქიდან გორში გაატარეს 50 კაცი (მათ რიცხვში რამდენიმე იპტალგენტი: სანდრო გეცხოველი, გიორგი მაჩაბელი, სტუდენტი დანდარაჯი, მესხი), რომელთაც ზოგიერთმა რამდენიმე წლით ადრე ალფტახის გუბერნიაში გადასახლება გადაუწვიტეთ. გორის სადგურზე ტყვეებს ტირილით და თმის წეწით გამწყრებული მშობლები დახვდენ. იმათი ცოდვით ქვაც კი იწოდა! ტირილენ გარეშე ხალხიც (უფრო დარიბი ხალხი), რომელნიც იმ დღეს გორის სადგურზე ბლომათ იყვენ. ამ დროს გამოვარდა ვილაც დედაკაცი (უფრო კნეინასა გვგონდა) და ხმა-მაღლა შეუშინა: „შენ კიდევ ცოტაა! გაგზავნა კი არა, სულ უნდა დაეხვრიტათ შენ ბუნტოშიკებიო"! ხალხი ისეთ ხაირათ აღშფოთდა, რომ იმ დედაკაცს ცუდი დღე დაეგებოდა, მაგრამ დროზე უშველა თავს და იქვე დუქანში დაიმალა! რა ესა, რა სხვება! იმდენი დღეგრძელობა **შენ და შენ,** მკითხველო, რამდენი მტერი ხალხის მოძრაობას გორში უყვდეს! მე თვითონ ჩემის უურით გავიგონე ამ დღეებში ერთი კაცის ასეთი სიტყვები: „ღმერთმა აცოცხლოთ ჯინდ ეს არეულობა დაამშვიდაო". მეორე ვაჭატონი (გორელი მოქალაქე) ქუჩაში ხმა-მაღლა ეუბნებოდა ერთ ქალს: „ახაია მაკათზე. კიდევა ბევრია დასაწყრი! ქალებიც უნდა ჩაალაგონ ციხეში! ეს უნდა დაახრჩონ! ეს უნდა კატორღაში გაგზავნონ—გაზეთებში სწერსო". მაგრამ რალა ამათ გავუგმტეუნოთ, რომ თვითონ „სახოგადო მოღვაწეები" ეარეულსა ჩადიან. ეა ყველთა მაგალითათ თუნდ ერთი მათგანი. მართალია ეს სხვასავით (როგორც უფრო „განათლებული" კაცი) ხმა-მაღლა არა ამხილებს მთრახებსა და შტიგებსა, ბირაქეთ, ლიბერალებთან ლიბერალობს, ხან დახან კიდეც რადიკალობს, მაგრამ თუ კი დრო მოასწრო, არც ჯამუშობას თაკილობს. ვისზედაც გვაქვს დაბარება, თითონ მიხვდება. რას ნიშნავდა ამ ვაჭატონის მუქარა: „თუ ვინმემ ხელი მახლო სულ ერთია, არავის შერჩებაო: „ჩემ შემდეგ უფელა „ბუნტოვშიკის" სიას დვტოვებ!". ამ სიტყვებით მიმართა მან იმ ოთხ ახალგაზდას, რომელნიც გორის სუკეთესო ნაწილმა გაუგზავნა მას, რომ გორელების სახელით კანსვენებულ ამილახვრისთვის გვარგვინი არ მიერთმია. რითი ახსნიდა, რომ ამ შემთხვევის შემდეგ სამ დღეს არ გაუვლია და ზემოხსენებული ახალგაზდები ზოგი დაიჭირეს და ალფტახის გუბერნიაში უკრეს თავი და ზოგსაც კვლა და კვლა დასდევენ და იმათაც ის დღე დაადგებათ, თუ დაიჭირენ...

გორელი.

რედ.-გამომც. ი. პ. როსტომაშვილი.